

კატეგორია
1917
№ 3

156/3



ნ.პ. 247.

საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერებათა აქადემია

საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
აქადემია

70




1917



მარტი, № III.

მოზრდილთათვის



$\frac{138}{1917}$ 14




ძველი კოშკი ქართლში


278. 19450
4273



შინაარსი

| | |
|---|----|
| I—ძველი კოშკი ქართლში, —სურათი | 1 |
| II—ციხის ემს, —ლექსი მამქრადისა | 3 |
| III—ჩვენ რაღა დავაშავეთ, უფალო! . მოთხრობა ად. ს- რადიძისა | 4 |
| IV—გაზაუბული, —ლექსი რუხაძისა | 12 |
| V—შავ ტუანეტას შვილობილი, — მოთხრობა ჯემისო- ნისა, (შემდეგი) თარგმანი დათაქო ანთაძისა | 13 |
| VI—ნოშრევეან მეფე და მისი ოცი ვაგი, — გალექსილი ხალ- ხური ზღაპარი (შემდეგი) გ. თქმისსევედისა | 32 |
| VII—ხე, რომელიც თვალსაჩინოდ იზრდება, —თარგმა- ნი კარ. ძიმუაშვილისა | 34 |
| VIII—გასართობი: —ნაწყვეტები, შარადა, გამოცანები, რებუსი და ახსნა | 61 |





სისპრის ჯამს

გამოიღვიძეთ, ბავშვებო,
 წითლად კაშკაშებს ცისკარი,
 ლაგვარდში სხივი იცინის,
 მთვარე სთვლემს, სიზმრით დამტკბარი;


ზურმუხტობს ველი, ელვარებს,
 ყვავილნი ეშხით სდნებიან,
 ფრინველნი ჟივილ-ხივილით
 განთიადს ეგებებიან.

თქვენი მერცხალიც მოფრინდა,
 პირველი მახარობელი,
 და უემოგჭყვივის: —ამოდის
 მზე, სხივებ-მანათობელი.

გამოიღვიძეთ, გეთაყვა,
 ჩანგს სიმი სწყდება, წკრიალებს...
 თავისუფლების სიმბოლო
 სამშობლოს ცის ქვეშ ფრიალებს.

შამქრალა





ქართული
მეცნიერებათა
აკადემია

ჩვენ რაღა დავაშავეთ,

ყოვალთ!



იღი ხანია, რაც ანო ეხვეწებოდა თავის მამას მისთვის ქალაქი ეჩვენებინა. მერე რამდენ რამეს ლაპარაკობდნენ ქალაქზე და მის გასაოცარ სანახავეებზე:

იქ უცხენო ეტლები თავისით ეღვინავით დაჰქროლავენ, ხის რაღაც ყუთებია—ადამიანსავით მღერიანო და მრავალი სხვა.

ახლა სხვა-და-სხვა ფრად განათებულ სუფთა ქუჩებზე სავაქრო მალაზიების დიდრონ ფანჯრებში კობტად გამოფენილი საუკეთესო საქონელი იზიდავს გამველელ-გამომველელს და თითქო ეუბნება—მიყიდე, მალე მიყიდეო.

ყველაზე უფრო ქალაქის სახლების შინაგან მორთულობის ნახვა ენატრებოდა ანოს. გაუგონია, რომ ქალაქის სუფთა, მდიდრულად მოწყობილი სახლები სამოთხეს ჰგვანან და იქ შესულს გამოსვლა დაეზარებო.

ანო მხოლოდ ერთ რამეს ვერ შეჰრიგებოდა; ვერ გაეგო, თუ რის გამო, ამისთანა კარგ პირობებში მცხოვრები ხალხი, მაინც კიდევ იხოცებოდა.

თხოვნას უფრო მოუბშირა ანომ, როცა ახალი ფეხსაცმელები და პირის-ფერი თავსაფარი გაიჩინა.

— მამილო, როდის წავალთ ქალაქს! აი, ქათმებიც მოილევიან, დაიწყებენ კრუხვას, გახდებიან, შენ კი სწორედ მაშინ მოისურვებ მამიდასთან ხელცარიელ წასვლას!— უსაყვედურებდა ანო.

— ბევრი მოგიტმენია, შვილო, ცოტაც მოითმინე. ნიშა ხარს ნალები დასცვივდა. ნაღბანდი ჩამოივლის, — დავაქედინებ, თორემ ცოდვია პირუტყვი ფეხშიშველა გზას გაუყენო ამოდენა ტვირთით, — ამწვიდებდა ანოს მამა.

* *

ანოს მამიდა ჰყავდა ქალაქში. ის ანოს ხნის ყოფილიყო, როდესაც უფროს დას, ქალაქში გათხოვილს, წაეყვანა თავის სახლში შორჩილად. დაქვრივების შემდეგ, როდესაც მას თავის შვილებსთენინაც ლუკმა შემოჰლევია, ფეფელა (ასე ეძახდნენ ანოს მამიდას), ერთ მოხელეს ოჯახში ხელზე მოსამსახურედ დაუყენებია.

ქკვიანი, მკვირცხლი გოგონა მალე მიხვედრილა ყველაფერს, შესჩვევია ქალაქის სისუფთავეს, მიხერა-მოხერა, სიტყვა-პასუხს.

ბევრი სამსახურისა და გამოცდილების შემდეგ ფეფელას მიუგნია ერთ მდიდარ დიდ-კაცის ოჯახისათვის, სადაც განებივრებულ ქალბატონთან პირფარეშად დამდგარა.

ამ ბოლო დროს სწორედ იმ ოჯახში იმყოფებოდა. მუყაითს, ოჯახის ერთგულ ფეფელას ბატონები სამართლიანად აფასებდნენ და სწყალობდნენ.

იმ ოჯახში თუმცა სხვა ბევრი მოსამსახურეც იყო, მაგრამ ფეფელას სხვებში არჩევდნენ, ეფემიად იხსენიებდნენ. ქალბატონი ხშირად რჩევასაც სთხოვდა და ზოგჯერ ოჯახურ საიდუმლოებებს უზიარებდა ხოლმე.

ანოს ვაგონილი ჰქონდა უფროსებისგან — მამიდა განათლებული ქალი არისო და მით უმეტეს ენატრებოდა მისი ნახ-

ვა. ქალიქის ნახვის სურვილი ოცნებად გადაქცეოდა ანოს და სიზმარშიც კი თავის თავს ქალაქში მიმავალს ხედავდა.

*
*
*

როგორც იყო სიზმარი სინამდვილედ იქცა. ქალაქის შარა გზას გაუდგა ტომრებით დატვირთული ურემი და ჩვენი ანო, ყელ-მოღერებული, ერთ ტომარას ზედ მოჰქცევოდა.

ახალი, დიდ ფოთლებიანი ჩითის კაბა ეცვა, რომელსაც საგანგებოდ დედის ზანდუკში ინახავდა და მხოლოდ უქმე დღეებში იცვამდა.

ანოს მიუხაროდა ქალაქისაკენ, მით უმეტეს რომ მამიდასთვის საჩუქარი მიჰქონდა—თავისი ხელით დაჩეჩილი და დართული მატყლი.

ცოტა არ იყოს გული ეთანადრებოდა, რომ განათლებულ მიმიდას საჩუქარი არ დაეწუნა.

— არა, მამიდა ბაწრის წინდებს, ვიცი, არ ჩაიცვამს; ტყუილად შევირცხვენ თავს!— ფიქრობდა გულ-ნატყენი ანო.

გულს კიდევ ის უკეთებდა ანოს, რომ ბაწრის ძაფის გარდა ბურჯინი სავესე იყო წმინდა ერბოზე მოზელილი ნახუქებითა და მსუქანი დაკლული დედლებით. არც კალათით კვერცხები და ნიგოზივით გემრიელი გოქის წაღებაც დაპიწყებით.

სხვა დროს კისკასი და მოლაპარაკე ანო გზაში დაფიქრებული იყო, აღზად ქალაქელებთან შეხვედრა აფიქრებდა.

ბოლო დროს მოუთმენლობა და აღელვებაც დაეტყო. ერთხელ კიდევ უსაყვედურა თავის მამას, რომ ორ-უღელა ხარ-კამეჩს ასე ზანტად მიჰყავდა ურემი.

გზის სიდიდევ ნინიას კი არაფრად მიაჩნდა. ის ჩვეული იყო ამ გზას და ზებირად იცოდა ყოველი მისი მისახვევ-მოსახვევი, რადგანაც წლის განმავლობაში უთვალავად უხდებოდა ქალაქს სიარული. ამიტომ იყო, რომ ნინია წყნარად მიე-

რეკებოდა საქონელს და თან ტკბილად ურმულს დამღერდა. დრო-გამოშვებით თუ მიმართავდა ნინია თავის ქალს:

— გოგო, ანო, რას გაჩუმებულხარ შელოცვილივით: ქალაქის ნახვა ხომ არ გაშინებს, შეილო? ჰეი, ჯავახიანთ გოგოებს როგორ შეშურდებათ შენი ქალაქს წასვლა!

ცირკში წაყვანასაც კი შეჰპირდა მამა ანოს.

— შე და ჩემმა ღმერთმა, თუ დროზე დავაბინავე საფქვავეი, ცირკსაც განახვებ, შეილო. გაგიკვირდება ჯამბაზების ოინბაზობა. ფლავნების კიდაობა ხომ ერთ რამედ ღირს: ჩვენებიანთ მიხას კიდაობა კი არ გეგონოს!

*
*

როგორც იყო ჩვენი მგზავრები ჩავიდნენ ქალაქს. ანო გაშტერებული შეჰყურებდა ქალაქის ვეებერთელა სახლებს, მდიდარ საეაქრო მალაზიებს, მოსიარულე მორთულ მოკაზმულ ხაღბს.

ურემმა ერთ ვიწრო ქუჩაში შეუხვია წისქვილებისკენ. ნინიამ საფქვავეი წისქვილში შეიტანა, ააწონინა, ჯერ იკითხა, ჩააბარა მეწისქვილეს და ურმით ბაკისკენ გაემგზავრა. დაღლილი ხარ-კამეჩი ნაცნობ მებაკეს მიაბარა, თანაც შეებვეწა საქმელ-სასმელი არ მოეცლო მათთვის.

ხურჯანით მხარზე, იფნის სახრით ხელში, ნინია მიეშურებოდა დისკენ. უკან გაუბედავად, მკიდრო ფეხსაცმელებს უჩვევი, ანო ძლივს მიაბიჯებდა.

გზაში ნინია ხშირად ჩერდებოდა, ანოს უცდიდა, თან უკმაყოფილოდ ეუბნებოდა:

— გადმოდგი, გოგო, ე ფეხები! თურქული ხომ არ შეგეყარა.

სოფელში ანო მერცხალივით დაჰქროდა, არაფერი აშინებდა: არც ხვეი, არც კლდე და ღრე, მაგრამ ქალაქის სწორე ქუჩებზე ფეხები არ ემორჩილებოდნენ.

აგერ კიშკრის კარებიც შეაღეს.

ეფემია სიყვარულით გამოეგება და მიესალმა ძმა-ძმის-წულს:

— უი, თქვენ კი გენაცვალეთ, რა რიგ გამახარეთ მოსვლით! ქა, ეს გოგო რამოდენა ვაზრდილა, ქამა სოკოსავით არ წამოუყრია ერთბაშად ტანი! — იძახდა აღტაცებით ეფემია.

ეფემიამ ყველა იკითხა: ჯალაბობა, სოფლის ამბები და, როცა გული შეიჯერა ლაპარაკით, მშიერ ხალხს გაუმასპინძლდა.

სულ მალე ბატონის მთელმა ოჯახმა შეიტყო სოფლელების სტუმრობა. ქალბატონის 11—12 წლის ქალი მოუთმენლად ელოდა ანოს გაცნობას. დედისა რომ არ ჰშინებოდა, ფიცხლავ მოჰკურცხლავდა ელო სამზარეულოსკენ და გაიცნობდა მისთვის ფრიად საინტერესო სოფლის გოგოს. მაგრამ დედამ სასტიკად დაუშალა მაგგვარი ქცევა.

ნინია დიდი ხანი აღარ დარჩა დასთან, საფქვაფი მოიმიზეზა და წისქვილისკენ გასწია.

— წავალ, მივხედავ საფქვაფს, თორემ სულ ერთიან დამიროშვენ.

ბუნების შვილი, თავისუფლებას ჩვეული, კარგად ვერ გრძნობდა თავს სხვის კერ ქვეშ. სხვის თვალ-წარბში ყურება ეძნელებოდა.

ანო მალე გაეცნო დიდ-კაცის ქალს, რომელიც ჯერ მედიდურად, შემდეგ კი მეგობრულად უჩვენებდა თავის სათამაშოებს და თავისებურ განმარტებას აძლევდა.

ანოს ცნობისმოყვარეობამ წაახლისა ელო, რომელმაც მთელი ოთახები დაატარა საჩვენებლად.

ოთახების მდიდრულმა მორთულობამ სულ მთლად მოაჯადოვა ანო. ის ხმა-ამოუღებლივ შეჰყურებდა თითოეულ საგანს და სცდილობდა მეხსიერებაში ღრმად ჩაებეჭდა, რათა შემდეგ უკლებლად გადაეცა სოფლელებისთვის.

კეთილი გოგონა მეტად სცდილობდა სტუმრის სიამოვნებას და პატარა გონებას ძალას ატანდა, თუ კიდევ რითი გაერთო ანო.

მალე ყველაფრის დათვლიერება გაათავეს; მხოლოდ მამის სამუშაო ოთახი ღა დარჩა უჩვენებელი.

ელოს სასტიკად ჰქონდა აკრძალული მამის სამუშაო ოთახში შესვლა, მაგრამ კანონის დარღვევა შესაძლოდ სცნო სტუმრის გულისთვის.

ხელ-ჩაკიდულნი შევიდნენ ორივენი სამუშაო ოთახში. ელოს მამა ღრმად იჯდა საქანაო სავარძელში და გადმოდგადადიოდა. ბავშვები რომ დაინახა, ცოტა ხნით შეაყენა სავარძელი და სტუმარ ბავშვს მიუაღერსა.

ამ სავარძელში მეტად დააინტერესა ანო; ის გაშტერებული შეჰყურებდა მას და ვერ გაეგო, თუ რას ნიშნავდა ხან-შესული კაცის ასეთი საქციელი.

ბავშვები, უკვე საკმაოდ დამეგობრებულნი, საბავშვო ოთახში ისხდნენ. ანომ ცნობისმოყვარეობით მრავალ კითხვით მიმართა, რაზედაც ელო შესაფერ ახსნას იძლეოდა.

ერთ რამეს გაგება სურდა გულით, მაგრამ უხერხულად მიაჩნდა კითხვა. არ იცოდა, როგორ დაეწყო. ბოლოს, რომ ველარ სძლია ცნობისმოყვარეობას, ანომ ელოს შემდეგი კითხვით მიმართა:

— განა ქალაქად ეგეთი საქანელები იცით და თქვენში უფროსებიც ქანაობენ?

ელომ აუხსნა ანოს მიზეზი მამის ქანაობისა.

— იცი, ანო, მამაჩემს ავადმყოფი კუჭი აქვს და საკმელს ძნელად ინელებს. ამიტომ ექიმებისგან ნათქვამი აქვს სასარგებლო წყლები სვას და ბევრი ისერიანოს. მამას კი ფეხით სიარული არ შეუძლია, და აი სწორედ ამიტომ სავარძელში ჯდება და მისი შემწეობით სხეულს ამოძრავებს.

ახსნის შემდეგაც ეს ამბავი ანოსთვის გაუგებარი დარჩა. ჰყვირობდა, თუ რატომ სოფლად არ სკირდებოდათ საქმლის მოსანელებლად სხვა-და-სხვა ხერხი.

ალარაფერი აღარ დარჩა ელოს საჩვენებელი. თავისი საყვარელი მარგალიტებიც კი უჩვენა. ისიც კი უთხრა, რომ მარგალიტები ზღვ-ს ფსკერიდან ამოაქვთ, რომ ზღვაში ცხოვრობს ისეთი ლოკოკინა, რომელიც ავადმყოფობის დროს იძლევა მარგალიტებს.

იმ დღეს ანომ იმდენი შთაბეჭდილება განიცადა, რომ ღამე ძილში სულ შფოთავდა და ლაპარაკობდა.

ასე 12 საათი იქნებოდა დღისა, როცა ანო ქალაქელებს გამოეთხოვა. უბნად დააჯილდოვეს ანო ქალაქელებმა.

მამიდას ძმის-წული არ ეთმობოდა. ეხვეწებოდა ძმის ერთი კვირით დაეტოვებია ანო, მაგრამ ნინია უარზედ იყო, რადგანაც სოფლად გაზაფხულზე ბევრი საქმე იყო სახლში და ანო, როგორც მუშა ხელი, მათთვის საჭირო იყო.

*
*
*

პირველი მამლის ყვილი იქნებოდა, როდესაც ჩვენმა მგზავრებმა სოფელს მიატანეს. სოფელს, მთელი დღის შრომით მოღლილს, გულიანი ძილით ეძინა. აქა-იქიდან ძაღლის ყეფა თუ მოისმოდა. არც მურას გამოეპარა პატრონის მოსვლა: ერთი კი შეჰყეფა, მერე ხტუნვით გაექანა ნინიასკენ და ფეხ ქვეშ მოექცა.

ნინიამ საქონელი ურმიდან გამოუშვა, ურემი კონკილაზე შეაყენა, ტომრებს ფარდაგი გადააფარა, მხარზე ფარაჯა გადიგლო და ხარ-კამეჩი საძოვრად მინდვრისკენ გარეკა.

მეორე დღეს ახალი ამბების მოყვარულ მეზობლობას ანოიანთსა მოეყარა თავი. ანო ქალაქის ამბებს უამბობდა. არც საქანაო სავარძლის ამბავი გამოორჩა უთქმელი.

სოფლის დედაკაცობა დაინტერესდა სავარძლის ამბით და ყველა თავის აზრს გამოსთქვამდა.

— ნეტავი რა შავი ქირი ჰხდით ავად: კარგ ცხოვრებაში ისინი არიან, ჯაფა კი არ აწუხებთ, — იძახდა ერთი.

— აი, სწორედ ეგა ჰხდით ავად, რომ უსაქმურები არიან! ნაირ-ნაირ საკმელებს სკამენ, მოძრაობაში არ არიან და მძორს ემზგავსებიან, — არწმუნებდა მეორე. აბა ისინიც ჩვენსავეთ გაისარჯონ, მთელი დღე ფეხზე დაალამონ და ნახვენ მაშინ, თუ ის, რაღაც ეშმაკებია, მოუნდეთ მოსანელებლად.

— დოვლათი ანებივრებთ, დაო, დოვლათისგან გიჟდებიან! — გაიძახოდა შესამე.

ანოს აგონდებოდა ელოს დედ-მამის მდიდარი ოჯახი და ძალა-უნებურად აღარებდა თავისას. ვერ მიშხედარიყო, თუ რის ბრალი იყო ის, რომ ზოგს უდარდელად მოსდიოდა სარჩო, ზოგი კი გამუდმებული შრომითაც ვერას ჰხდებოდა და ნიადაგ გაკირვებას განიცდიდა. აგონდებოდა ვველა ეს ანოს და მწარედ გულში გაიძახოდა:


— ჩვენ რაღა დავაშავეთ, უფალო!..

აღ. სარაღაძისა.





269257-11
313-1111333



ვაზაფხული




აზაფხული მოჰქრის,
მოჰქრის, ვით ვაფაზი,
იქ მთას აფერადებს,
აქ—ბარს, ფრთა-ლამაზი.

ბუჩქს ქვეშ იამ ყური
სცქვიტა, გაიშალა,
სურნელებით მორწყო
ტყე, მინდორი, ქალა.

აზურმუხტდა ბორცვი,
ახვერდდა მდელიო...
ახ, კირიმე შენი,
კოლხდის ტყე-ველო!

რა ლამაზად ჰყვავი,
გულ-მკერდ მოქარგული?
ვინატრი—შენს ველშიც
დადგეს ვაზაფხული!

ვ. რუხაძე





შავ ტყუანეტას შვილობილი

(შემდეგი *)

III

როგორ გაიცნეს ერთმანეთი.



თი თუ თორმეტი წლის წინად ამ ამბის დაწყებამდე, როდესაც სელინამ სახელმწიფო ბანკის ქერ ქვეშ პირველად დაიჭირა ალაფი დაზგის დასადგმელად, ამ მშვენიერ შენობას სულ სხვა დანიშნულება ჰქონდა, რასაც მის ქვის ფა-

სადზე გამოქანდაკებული ასოები ამტკიცებდნენ. მაგრამ ამერიკის ჩრდილოეთის და სამხრეთის შეერთებულ შტატთა შორის მომხდარმა ბრძოლამ ამ მხარეში ვაჭრობა შეაფერხა; საუცხოო ძველმა შენობამაც თავის სიამპარტაუნე დაჰკარგა და საშვალო თეატრის და სხვა-და-სხვა გასართობის ბინად გადაიქცა. მსხვილ სვეტებზე სხვა-და-სხვა მხიარული ფერის საღებავით დაჯღაბნილ მოცეკვავე ძაღლების, ჩინელი ოინბაზების სურათები და სხვა-და-სხვა კარიკატურები ეკიდა. უშველებელი განცხადებანი უბრალო ხალხს იზიდავდა, და იქ, სადაც ერთ დროს ფულის ღმერთები თავმოქმდნოდნენ დასიერნობდნენ, დღეს კრელი ბრბო დახეტიალობდა. ყველგან უსა-

*) იხილეთ „ნაკადული“-ს მე-2 №

ქმო ხალხი გუგუნებდა, იქნებდა ხელებს და ერთი მეორეს ნიდაყვის კვრით მიჰყვებოდა. ზოგჯერ მათ შორის უფრო შეძლებული წრის წარმომადგენელიც გამოერეოდნენ, და სწორედ ესენი იყვნენ სელინას მუშტრები. ისინი დაზგის წინ ჩერდებოდნენ ცივი ლიმონადის დასაღევად, ან სხვა რამ ტკბილეულით შემზადებული ახალი ნამცხვარის ჩასატკბარუნებლად. ტკბილეულობას გარდა კალათაში, თეთრ სუფთა ზელსაწმენდ ქვეშ, სელინას ყოველთვის ელაგა გემრიელზე უგემრიელესი კარაქი, პურები და თოვლივით თეთრი ტკბილეულობა. წინად ბანკის მოსამსახურეებს ჩვეულებად ჰქონდათ: სელინასთან ჩქარა უნდა ესაუბრათ და ზედ ერთი ჰიქა ცივი ლიმონადი დაეყოლებინათ. ახლა კი სხვა მუშტრები ჰყავდა. მისი საქონელი ისეთივე საუცხოო ხარისხის იყო და თეატრში მოსიარულენი მისგან ჰყიდულობდნენ. ამგვარად ნელ-ნელა მან ცოტა თანხაც კი მოაგროვა.

ორი თუ სამი წლის წინად, როდესაც ფილიპე მთავრის ქუჩაზე პირველად გამოვიდა თავისი ტაბაკით, სელინას ყურადღება ბავშვის მშვენიერმა სახემ მიიპყრო. ამ ბავშვმა სელინას ნერწყვის მომგვრელ ნამცხვრებს თვალი ვერ მოაშორა. ფილიპე მაშინ ექვსი წლის ძლივს იქნებოდა და მისმა მხიარულმა სიცილმა და სასიამოვნო ბურტყულმა ერთბაშად მოინადირა სელინას გული. პირველ დღიდანვე სელინამ მას მფარველობა გაუწია, და ახლად დაკრეფილი ფილიპეს ნახსურნელოვანი ყვავილები ყოველთვის საუკეთესო ალაგს ჰპოულობდნენ სელინას დაზგაზე.

სელინას რომ გაეცნო, ცოტა ხნის შემდეგ ფილიპემ თან მოიყვანა თვალ-სევდიანი, შავ, ძველ კაბაში გამოწყობილი ფერ-მკრთალი გოგონა; მას ზელში კალათი ეჭირა, რომელშიაც რამოდენიმე მშვენიერი ცვილის ქანდაკება ელაგა. ბავშვი წინდაწინვე დარწმუნებული იყო, რომ კეთილი დედაკაცი მის მგობარსაც ისე მოეფერება, როგორც მას ეფერე-

ბრდა, და გაბედულად მიიყვანა სელინასთან თავისი ახალი მეგობარი; და არც მოსტყუვდა: სელინამ თავისი დედობრივი გულით გოგონაც გაათბო.

— მე ყოველთვის პატარა გოგონები უფრო მიყვარდნენ. ბიჭებიც კარგები არიან, მაგრამ ისინი ყოველთვის ეშმაკობენ, და ძნელია მათი მოვლა, — ამბობდა სელინა მორიდებით, რომ ფილიპე არ გაეჯავრებინა და დეას მზურვალე მოფერებით მის გულში შური არ აღეძრა.

ფილიპე პირველად ურსულის ქუჩაზე შეხვდა დეას. ის იმ დროს ძლიერ აღელვებული იყო. ვილაცის უშველებელი მსუქანი ძალი დაეტაკა იმ დროს მშვიერსა და ღონე-მიხდილ ჰომოს. თუმცა საბრალო ბებერი ძალიან თავგამოდებით იბრძოდა, მოწინააღმდეგემ თითქმის სულმთლად დაკუმშა იგი. ფილიპეც გამოჩნდა და ჯოხით ისე მიბეგვა მსუქანი მურა, რომ უკანასკნელმა მოკეურცხლა და დიდხანს გონს არ მოსულა. ჰომო კი თავის სახლში გაიქცა გოგოს თანხლებით, რომელმაც სკამზე თავისი კალათი დასტოვა. ფილიპემ შეამწყვდია თუ არა მურა მახლობელ ეზოში, გოგოს დატოვებულ კალათს ხელი წამოაფლო და პატრონს გამოუდგა. საბრალო პაწაწა! შიშისაგან სულს ძლიერ იბრუნებდა, მაგრამ მაინც შესდგა მხსნელისათვის მადლობის გადასახდელად.

— ჰომო როდი იყო დამნაშავე, ჩქარი ფრანგული კილოთი ამბობდა ის: — პირველად სხვისმა ძალმა დაიწყო ჩხუბი. ჰომო ბებერი და სუსტია, მაგრამ ძლიერ თავმოყვარეა და შეურაცხყოფა ვერ აიტანა. იმ ძალმა ჰომო დაიბრიყვა, და ჰომოს არ შეეძლო მისი დაუსჯელად დატოვება.

— ვიცი, — სთქვა ფილიპემ, — მას არ შეეძლო უპასუხოდ დაეტოვებია ის არამზადა.

მისმა წრფელმა დახმარებამ და ჰომოს თავმოყვარეობის აღიარებამ ერთბაშად მოუპოვეს ბავშვს გოგონას ნდობა და იმ დღიდან ისინი დიდი მეგობრები გახდნენ. დეა მეტის მეტი მშვიდობიანი ბავშვი იყო. ფილიპეც ხათრით ზედმეტი შეკი-

თხევით არ აწუხებდა, მაგრამ რამოდენიმე სიტყვითაც კარგათ გაიგო, რომ ის ვილღერეს ქუჩაზე ცხოვრობს, რომ დედა აღარ ჰყავს, მამა მოქანდაკეა, და რომ ეს უკანასკნელი აკეთებს იმ მშვენიერ ქანდაკებებს, რომელთაც გოგონა კარდა-კარ ათრევს გასასყიდად.

— საბრალო მამა სულ ავადაა, — ნაღვლიანი და ნაზი ხმით ამბობდა გოგონა, — თავის ტკივილი არ ასვენებს და მთელი ღამეები არ სძინავს მას შემდეგ, რაც დედა გარდაიცვალა. მის თვალს გარეშე კაცი არ უნახავს და დღისით არსად არ გამოდის. ამბობს — სინათლე მაწუხებსო. საღამოობით კი ხან-და-ხან სადღაც მიდის და გვიან ბრუნდება; არ ვიცი, სად დადის, მაგრამ ფიქრობ — დედასთან ზის საფლავზე.

ფილიპეს უდარდელი სახე დაეჩრდილა და კინალამ ატირდა გოგონასთან ერთად. მაგრამ სისუსტეს სძლია და გაბედულად წარმოსთქვა:

— წამო ჩემთან მთავრის ქუჩაზე; შენთვის იქ სჯობია: იქ მეგობარი მყავს, რომელსაც თავისი დაზვა აქვს; მსხვილ სელინას ეძახიან და შენი ქანდაკების გაყიდვა შეუძლია. დეამ დიდი მადლობით მიიღო ფილიპეს წინადადება, და მოინადირა თუ არა პირველი წუთიდანვე სელინას გული, იპოვა მასში ერთგული მეგობარი, რომელიც სულ სხვა-და-ზვა გზით უმტკიცებდა მას სიყვარულს და ერთგულებას. ყოველ დღე, დარში თუ წვიმაში, სელინას გვერდით მშვენიერი ვაჟის და სახე — ნაღვლიანი გოგონას ნახვა შეიძლებოდა და მათ საქონელსაც საუკეთესო ალაგი ეპირა სელინას მაგიდაზე, რომლის ქვეშ მაგრად ეძინა ჰომოს. დატანჯულმა ცხოველმა ცნაბა ბოლოს ნამდვილი და საიმედო ნავთსაყუდელი.

დედასა და ფილიპესათვის შავი დღეები დადგა, როცა სელინა რამოდენიმე კვირით სოფელში თავისი შავკანიანი ნათესავის ქორწილში წავიდა. ახლა ის დაბრუნდა, ბავშვების სასიხარულოდ.



IV

ლილიბელი

პატარა დეას არხინად ეძინა სელინას სიამედო მფარველობის ქვეშ და ფილიპე მზიარულად უსტვენდა, რადგან მძიმე ტვირთი თავიდან მოიშორა და სხვა, უფრო ღონიერ მხრებს გადასცა.

იმ დროს, როცა დეას ეძინა და ფილიპე სტვენდა, სელინაც გრილ შემოდგომის ჰაერზე სთვლემდა და ნელ-ნელა ფარშავანგის ფრთების კონას აქნევდა ბუზების დასაფრთხობად. ამ ფრთების კონის მანქანებრივი ქნევით სდევნიდა მოუსვენარ ბუზებსა და პატარა ქურდებს, რომელთაც სელინას ტკბილეულობა იზიდავდა. და იმ დროს, როდესაც ბორიოს ფრთები მწყობრად ფრიალებდნენ, თვითონ სელინა, დედამიწას მოწყვეტილი, ოცნების სამეფოში დანაწარდობდა.

4273
 დღეს ის სთვლემდა, ნახევრად ღია თვალებით, რადგანაც ეშინოდა ესმერალდას ან ქვაზიმოდოს მყიდველი ხელიდან არ გაეშვა. რამდენი ხანია უცხოელნი ქუჩაში უნდა გამოჩენილიყვნენ,—ეუბნებოდა ის თავის თავს.—მე ვიცნობ იმათში ერთს, რომელიც უეჭველად იყიდის ამ ფიგურებს,

უეცრად ის ზეზე წამოიჭრა ფართოდ თვალეზ-დატყეტილი და წყალსადენის ქუჩას მიაჩერდა.

—მე სელინა არა ვარ, თუ ეს ლილიბელი არ არის: ნეტა რისთვის დაბრუნდა ასე აღრე ეს ლაწირაკი? მე ის გაღმა გავგზავნე, და სანამ საქონელს არ გაყიდდა, არ უნდა დაბრუნებულყო.

ფილიპემ სტვენა შესწყვიტა და ლილიბელს დაუწყო ცქერა, რომელიც კრძალვით ნელ-ნელა უახლოვდებოდა მათ. ეს იყო შავკანიანი ჯუჯა,—შავი და ბრქვეილა, როგორც ვაპრიალეზული წაღა. დიდრონი თვალეზი და თოვლივით



თეთრი კბილები ჰქონდა. მისი შავი თმა ყალბზედ იდგა, თითქო მუდმივ შიშს გაუყინავსო, და ფართე პირის ნახევრი, მხიარულად მომცინარე, ყურებამდე უწევდა. იგი ბურთივით მრგვალი და მსუქანი იყო. უშველებელი ტერფი მ-სი მოკლე, მრუდე ფეხებისა თითქმის ოთხკუთხი იყო. შარვლის ასპიკმავის ერთი ნახევარი, ტალახიან, დაცვეთილ პერანგზე გადაქიმული, ბარძაყამდის დაკარწახებულ ტალახიანსავე შარვალს იქერდა. ყველა ეს უფრო საფრთხობელას შესახედამობას ჰქმნიდა, ვინემ კაცისას, და თუ არა მოძრავი თვალეები და ფართო გაცინება ლილიბელს, კარგად გამოცდილ, დაბერებულ ყვავის მოტყუებაც აღვილად შეეძლო.

— ერთი ამ ლაწირაკს შეხედეთ—რასა ჰგავს!—გულ-საკლავი ხმით დაიძახა სელინამ.—სახლიდან ტიკინასავით სუფთად გამოწყობილი გამოუშვი, ახლა კი გოკივით მოსრივლი და გაცრცენილი დაბრუნდა. ნამდვილად, როგორც თვითონაა, იმისთანა თავზე ხელ-აღებულებთან დაეთრეოდა აქამდის. ერთი აქ მობრძანდი, ვაჟბატონო!

ამ სიტყვებით მან ბავშვს ხელი მოუქნია, რომელიც ლილიბელმა ღიდის ოსტატობით აიცილინა.

— აქ მოდი მეთქი, შენ გეუბნები. დაგალჩობ!

ლილიბელი ღედის მუქარას ყურადღებას არ აქცევდა და კარგა შორს იდგა. სანამ იმ სვეტს არ ამოეფარა, რომელთანაც ფილიპე იჯდა. ფილიპე სელინას განრისხების მიუხედავად ხარხარებდა, მის ზურგს უკან კი პატარა გაიძვერა გამოიყურებოდა და ეშმაკურად იცინოდა.

— მოხვალ თუ არა ჩემთან?—ყვიროდა მოთმინება-დაკარგული სელინა.—თუ ჩამივარდი ხელში!..—ამ სიტყვებით ის ისეთი სისწრაფით წამოვარდა, რომ ფარშევანგის ფრთების მარაო ლიმონადიან დოქში ჩაუვარდა, თანაც ღეას დაეტაკა და წააქცია. შეშინებული ღეა წამოვარდა. წამოდგა აგრეთვე ჰომოც, მაგრამ ჰაერის თავისუფლად შესუნთქვის შემდეგ წყნარად



თუ ჩამივარდი ხელში...

ისევ თავის ალავს დაუბრუნდა. ეს მას არ აკვირვებდა: ამგვარი ქცევა სელინასა და ლილიბელის შორის ჩვეულებრივი მოვლენა იყო.

— გესმის თუ არა, — რას გელაპარაკები? შოდი ჩემთან და ამიხსენ, რა უყავი კალათი?

დამნაშავეის დატყუარ სსურვილს ისე შეეპყრო სელინა, რომ ის მაგიდაზე გადაიხარა, იატაკზე მთელი ვაზა დაშაქრული ხილი დაიბნია და კინალამ ქვაზიმოდო არ დაამსხვრია.

ლილიბელმა ვეღარ მოითმინა, დაშაქრულ ხილს კრეფა დაუწყო, რამაც დედას საშუალება მისცა დაეჭირა იგი და სასტიკ, უღმობელ სამსჯავროში წაეყვანა.

განთავისუფლების იმედ-დაკარგულმა. ტყვედ ჩავარდნილ-მა ლილიბელმა დევნილი წმინდანის სახე მიიღო და თვალე-ბის ცეცებით მოჰყვა აბდა-უბდას,—თითქო ის მდინარეში გადავიარდა და ძლივს გადაარჩინეს.

—მერმე შენი კალათი რაღა იქნა? სად შეინახე კალათი?— უყვიროდა სელინა და ისე ღონივრად ანჯღრევდა ლილი-ბელს, რომ ის ქარზედ აფრიალებულ ნაფლეთების კონას უფრო ჰგვანდა, მინემ ბავშვს.

—კალათი ჩაიძირა,—თვალეების ტრიალით სლუკუნებ-და ლილიბელი.

—ჩაიძირა,—ნელა განიმეორა სელინამ:—მართალია, რაც სთქვი? შენ ხომ იცი: მე მატყუარები არ მიყვარს! თავ-ზე დაგამტვრევ დღესვე საღამოს აი ამ ჯოხს, თუ ნათქვა-მი სიცრუე გამოდგა.

—ეს ისეთივე სიმართლეა, დე, როგორც ის, რომ მე შენს წინა ვსდგევარ,—გაბედულად ირწმუნებოდა ლი-ლიბელი:—წყალში ჩამივიარდა.

—როგორ ჩავივარდა? აბა გვიამბე, როგორ ჩავარდი შენ თვითონ მდინარეში?

სელინამ თავისი კითხვები ბავშვის ხელახლა შენჯღრე-ვით დაასაბუთა, რის გამოც ლილიბელს კბილებმა წააკა-წუკი დაუწყო და დაფლეთილ ტანისამოსიდან დედის თეთრ წინსა-ფარს წყლის შადრევანი გადაესხა.

—აი როგორ იყო საქმე,—აჩქარებით ამბობდა ლილი-ბელი.—მე წყლის ნაპირას ვიდექი; იქვე მუშები დიდ გემს ნახშირით ტვირთავდნენ; ის იყო დაშაქრული პურები უნდა ამომეღო, რომ ერთი უშველებელი ყმაწვილი დამეტაკა და წყალში გადავიარდი! ოხ, დე, მე კინაღამ დავიღრჩვი: მთლად მკვდარი ვიყავი,—ტირილით ამბობდა თავისი ნაამბო-ბით გულ-აჩუყებული ლილიბელი. მე შზოლოდ ერთი კავია-

ნი მუშის წყალობით გადავრჩი; იმან წყლიდან კავით ამო-
მათრია.

— არა მგონია, რომ ეს მართალი იყოს, — ჩაილაპარაკა
სელინამ და ცოტათი ხელები მოუშვა.

— მართალია, დე: ეს ასე იყო!

რომ უფრო დაეჯერებია, ლილიბელი თვალებს ატრია-
ლებდა და ტუჩებს სხვა-და-სხვა გვარად მანქავდა. სელინა ხე-
ლებს არ აშორებდა და გამკრიახი თვალებით უცქეროდა.

— არ შეიძლება დაგიჯერო. ახლავე ვაგიგებ, — მარ-
თლა ჩავარდი შენ მდინარეში და მართლა ჩაიძირა კალათი,
თუ არა, — განაგრძობდა სელინა. — მაგრამ თუ გინდა მართა-
ლიც გეთქვას, ყოველ შემთხვევაში ბევრი დაშაქრული იმ
დროს აღარ უნდა ყოფილიყოს, როცა შენ ის წყალში ჩა-
გივარდა: შენი მუცელი ძალზედაა გატენილი, უვარგისო, სა-
ძაგელო ლაწირაკო! შენ ეს არ შეგრჩება! ახლა კი ვამეცა-
ლე აქედან და დაეგდე აი იქ, იმ ძაღლთან; ის ყველაზედ უფ-
რო შესაფერი ალაგია შენთვის.

და მაგარი ტყლაშანით სელინამ შვილი მაგიდის ქვეშ
ჰომოსთან შეაძვრინა, სადაც მან სიაშოვნების სლუკუნით ძაღლ-
ზე თავ-მიდებილობა მოიკალათა. რამოდენიმე წამის შემდეგ
პატარა გაიძვერას ისევე მაგრად და უდარდელად ეძინა, რო-
გორც მის ოთხფეხა მეზობელს.

— ახლა ხომ ხედავ, ფილიპე, რა განძია ლილიბელი, —
მიმართა სელინამ ფილიპეს, თანაგრძობის მოლოდინში. — აქ
იქვიც არ არის — ყველა ტკბილეულობა თვითონ შესქამა და
კალათი გადაავდო! ღმერთო ჩემო, ხომ გამაკოტრებს, თუ
კიდევ გავატანე საქონელი. ვის დაემზგავსა ეს გიყი? — განა-
გრძობდა ჩაფიქრებული სელინა. — ეს სახელი მისი მიცვალე-

ბული დების სახსოვრად დავარქვი, იმ ორი საუცხოვო ბავშვისა, რომლების მზავსი ქვეყანას მხოლოდ ერთხელ თუ უნახავს. ისეთი მშვენიერი და კეთილი ბავშვები იყვნენ, როგორც დეაა. მე ყოველთვის ვამბობ: გოგო—ბედნიერებაა, ვაჟი—უბედურება!

—სელინა, მე ხომ ვაჟი ვარ,—გააწყვეტინა ფილიპემ:—ნუ თუ მეც ცუდი ვარ?

—არა, არა, ჩემო ოქროვ, შენ ძლიერ კარგი ბავშვი ხარ: მაგრამ თქვენ, თეთრები, სულ სხვანი ხართ, და თქვენი ბავშვებიც სულ სხვაა.

—კარგად გაიფიქრე, სელინა: ლილიბელი შეიძლება და დამღრწვალყო,—მოკლედ სთქვა დეამ. —იღარდებდით მაშინ!

—ეს ბავშვი დაიღრწობა!.. არა, ჩემო პაწაწავ. მე ვშიშობ ის ოდესმე საღრწობელაზე არ შეფერინდეს. რაც გინდენიჩინო, კარგი რამე მას არ ეკარება. საკმაო გამწარება გამომიცდია მისგან.

ამ სიტყვებით სელინამ დაზგა ისევ წინანდებურად დააღაგა და ქვაშიმოდო თავის ალაგას დადგა. ლილიბელთან მომხდარი უსიამოვნების მიუხედავად სელინა იმედს არ ჰკარგავდა, რომ ქვაშიმოდოს მუშტარი გამოუჩნდებოდა.

—ნეტა რა იქნა ის უცხოელი, რომელიც ხშირად მოდის აქ ყვავილებისა და დაშაქრულებისათვის. თუ კი მოვიდა, უსათუოდ იყიდის შენს ფიგურებს. ის მხატვარია, და მთავრის ქუჩაზე, აი იმ დიდი სახლის მგორე სართულში ცხოვრობს; ის ჩრდილოეთიდანაა და ძალიან მდიდარია.

დეას ფერმკრთალი სახე იმედით და კარგის მოლოდინით გაუბრწყინდა. წელში გამართული, ის სელინას გვერდით იჯ-

და და გამვლელ-გამომვლელს ათვალიერებდა, მაშინ როდესაც გზის ერთ კიდეში მდგომი ფილიპე მოუსვენარი სტვენით ქუჩის მეორე მხარეს მიმავალ ხალხს უცქეროდა.

V

დეა ჰეიდის ქვაზიმოდოს

უზომოდ მდიდარი ჩრდილოეთელი მხატვარი, როგორც მას სელინა უწოდებდა ხშირად შესდგებოდა ხოლმე დაზგასთან რამოდენიმე გოზინაყის, ანუ ორიოდ გემრიელი ხაბიზგინის საყიდლოდ. ის ყოველ გაჩერების დროს გულდასმით ათვალიერებდა ბავშვებს და ცოტა გროშები არ გადასულა მისი ჯიბიდან, სურნელოვანი ზეთისხილის ყლორტისა ან იის კონის ნაცვლად, ფილიპეს ჯიბეში.

ის მართლა მხატვარი იყო, უწოდებდნენ ედუარდ ეინსვორტს და იცნობდნენ ნიუ იორკში. რაც შეეხება სიმდიდრეს, ეს სელინას აზრი იყო, იმაზე დამყარებული, რომ ის უცხოელი იყო და მერე, თავი-და-თავი, რომ ის თითქმის ყოველ საღამოს ყვავილებს ყიდულობდა, და აბა, მდიდარს გარდა, ყვავილს სხვა ვინ იყიდის?

იმ დღეს მისი ნახვის მოწყურებულმა სელინამ მოჰკრა მხატვარს თვალი და წარმოუდგა, თითქოს ის გვერდის ავლას უპირებდა; მაგრამ არა: ის ჩქარა შემოტრიალდა, დაზგაზე გადაიხარა და ცხვირი ფილიპეს მშვენიერ, სურნელოვან ყვავილებთან მიიტანა.

—რა კარგი სუნია აქვს, რა მშვენიერია!—ჩაილაპარაკა მან და ზეთის ხილის ტოტს და იის კონებს დაუწყა რჩევა. თან ფილიპეს და დეის თვალს არ აშორებდა. დეა თავისი შემკითხავი, დიდრონი თვალებით მხატვარს მისჩერებოდა.

ამ დროს სელინამ გაიღიმა თავისი მომზობლავი ღიმილით და, როდესაც მუშტარმა ნასყიდი ყვავილებისათვის მაგიდაზე ფული დასდო, სასიამოვნო ტკბილი ხმით წარმოსთქვა:

— ცხელ-ცხელი ნამცხვრებია, ბატონო, ცხელ-ცხელი! ხომ არ ინებებთ ტკბილ ხაბიზგინებს?

— უსათუოდ. გმადლობთ, — უპასუხა მხატვარმა. ბავშვებს თვალს არ აშორებდა და ნაეპკრი ხელში აიღო.

— თუ ნებას მომცემთ, ბატონო, საკვირველ ნივთს გაჩვენებთ.

ამ სიტყვების შემდეგ სელინამ დიდი სიფრთხილით აიღო ხელში ქვაზიმოდო. დეა მღელვარებისაგან სულ გაფითრდა; ფილიპეს კი თვალეში მოუთმენლობის ცეცხლი აენტო. ეს იყო საშინელი მოლოდინის წაბები.

მხატვარს სახე გაუბრწყინდა. მან ყვავილები და პარკი იქვე დასდო, ხელში ქანდაკება დაიჭირა და გულ—დასმით, თითქმის კრძალვით, ყოველ-მხრივ დაათვალიერა.

— ეს ვინ გააკეთა? — ჯერ ერთსა და მერე მეორე ბავშვს მოავლო თვალი და იკითხა მხატვარმა.

— მამა-ჩემმა, — უპასუხა გათამამებულმა დეამ.

— მამა-შენმა! ის ხომ გენიოსი ყოფილა! საუცხოოდაა შესრულებული. რა ჰქვია მამა-შენს და სად ცხოვრობთ?

დეამ პასუხის ნაცვლად თავი დაბლა დახარა. მხატვარმა ახლა სელინას შეხედა.

— მისი საბრალო მამა სულ ავად არის, — უპასუხა სელინამ და მნიშვნელობით შუბლზე ხელი მიიღო. — მას არავისი ნახვა არ სურს. ეს, — სელინამ პატარა ქალზე მიუთითა, — არას დროს არ ეუბნება უცნობს, სად სცხოვრობენ ისინი.

ახლა კი მესმის,—სთქვა მხატვარმა.—კარგი, ჩემო პატარავ,—აღერსიანად მიუბრუნდა ის დეას,—არ შეგიძლია მითხრა—ვის წარმოადგენს ეს ქანდაკება?

— ეს ქვაზიმოდოა.

—სწორედ ის არის! უმაგალითოა, უმაგალითო! მაგრამ რა უცნაური აზრი მოსვლია!—ამბობდა იგი და ქვაზიმოდოს დასტრიალებდა.

— ჰყიდი?—როგორც იყო იკითხა ბოლოს.

— დიახ, ბატონო! აჩქარებით წამოიძახა დეამ.—რა გაეხარდება საბრალო მამას! გამომიცხადა, რაც უნდა დაგიჯდეს, ეს დღეს უნდა გაყიდო.

— როგორ აფასებ?

— მამამ დამაბარა—ხუთ დოლარად გაყიდეო. ბევრია ხუთი დოლარი?—აირია საბრალო გოგო.—მამამ სთქვა—ხელოვნურად ნაკეთია, მაგრამ თქვენ თუ ბევრად გჭრენებთ...

— ნამდვილი ხელოვნების ნაყოფია, —გააწყვეტინა მხატვარმა და საფულე ქისის ამოსაღებად ჯიბისკენ დაბნეულად ხელი წაიღო.

გაბრწყინებული თვალები დეას ცრემლით აევსო.

— არ შეგიძლია მითხრა, ჩემო პატარავ, რამდენ ხანს აკეთებდა ამ ქანდაკებას მამა შენი?—ქისით ხელში შეეკითხა მხატვარი.

— დიდხანს ბატონო! თუმც ნამდვილად არ შემიძლია ვსთქვა, რადგანაც მამა ღამე მუშაობს, როდესაც მე მძინავს.

— აა! ის ღამე მუშაობს! ბევრი ქანდაკება გაყიდე?

— არა, ბატონო: დიდიხანია ერთიც არ გამოყიდნია.

— მაგას ყველიერს აქეთ ერთიც არ გაუყიდნია,—ჩაერია ლაპარაკში სუთლად ცნობისმოყვარეობად გადაქცეული ფი-

ლიპე.—ერთმა უცხოელმა იყიდა ერთი ქანდაკება, მაგრამ იმის ფასად მხოლოდ სამი დოლარი მისცა.

— შენ ამის ძმა ხარ?—ლიპილით შეეკითხა მხატვარი ფილიპეს.

— არა, ბატონო, ჩვენ ნათესაეები არა ვართ,—უპასუხა ბავშვმა:—ის მხოლოდ ჩემი მეგობარია.—პატარაა და მე ვუვლი და ვეხმარები, რითაც კი შემიძლია.

ამ სიტყვებით ბავშვმა მხატვარს თვალეები მიაპყრო, რომელთა ცისფერ სიღრმეში იმდენი ნათელი ღმობიერება ბრწყინავდა, რომ რაღაც იდუმალმა ნაზმა მოგონებამ მხატვარს გული აუტოკა.

„როგორ ჰგავს იმას,—გაიფიქრა მან:—იგივე შეხედულობა, იგივე ღიმილი და თითქმის იგივე წლოვანება! დარწმუნებული ვარ ლაურას თვალეებსაც ასევე წარმოუდგება... ლაურასაც უნდა ვაჩვენო“.

ერთ წუთს მას ყველაფერი გადაავიწყდა. დიდი ხნის მოგონება ახლად გამოწვეულ მწუხარებას შეუერთდა. დამშრალი ტბის ძირზე ზამბახის მკრეფავი ფეხშიშველა ბავშვი, რომელიც მის ახლოს დგას და მისი ხელის მოძრაობას სიყვარულით აღსაფხვ თვალეებით შესცქერის. ეს ბავშვი და ახლა მის წინ მდგომი ერთსა და იმავე ბავშვად წარმოუდგა. საშინელმა მღელვარებამ წარბოცა ყველაფერი მისი ხსოვნიდან და, ენა-ჩაფარდნილი, ის ფილიპეს მეტყველი სახის წინ გაშეშებული იდგა. ბოლოს თითქოს ღრმა ძილისაგან გამოერკვა და, როდესაც დაილაპარაკა, მის ხმაში ახალი ტკბილი გრძნობა ისმოდა.

— რა კეთილი ბავშვი ხარ! ბედნიერია ის, ვისაც შენისთანა მეგობარი ჰყავს. რა გქვიან შენ, ჩემო მტრედო? მე მსურს შენი უფრო ახლოს გაცნობა.

სიამოვნებისაგან აწითლებულმა ბავშვმა სწრაფად უპასუხა:

— ფილიპე, ბატონო.

— ფილიპე, — ამოძახილივით განიმეორა მხატვარმა: — უცნაურია!... რა გვარი ხარ?

— მე ყველა „ტუანეტას ფილიპეს“ შეძახის. არას დროს არ მიფიქრია გამეგო ჩემი გვარი. ვკითხავ დღესვე დედას, მაქვს გვარი თუ არა.

— ტუანეტა დედაა შენი?

— არა, ბატონო: ის ჩემი გამზღელია, — ის შავ-კანიანია, მე კი, როგორც ხედავთ, თეთრი ვარ.

— შენ მუდამ ტუანეტასთან ცხოვრობდი?

— მუდამ, რაც კი თავი მახსოვს.

— სჩანს შენ დედ-მამა არ გყავს?

— შშობლები? არა; მგონია — არა. არ ვიცი... ვკითხავ დედას.

— სად ცხოვრობთ?

— მე — ურსულინის ქუჩაზე, ქალაქს გარედ. ჩემმა დედ-ლილომ იქ ბალი გააშენა და ყვავილებს ჰყიდის. საუცხოო ბალია! ხომ არ ინებებთ სანახავად მოსვლას? დედას ჩვენი ბალით თავი მოსწონს და სიამოვნებით აჩვენებს ხოლმე უცხოელებს.

— გმადლობ; უსათუოდ მოვალ, — უპასუხა მხატვარმა. — მე ძლიერ მიყვარს ყვავილები და კიდევ უფრო — ნახატები. შენც გიყვარს ნახატები? მგონია, რომ ბევრი არ გექნება ნახული.

— ძლიერ ბევრი და ძლიერაც მიყვარს. მე მინახავს ისინი ეკლესიაში, ფანჯრებიდან, და თვითონაც მიცდია ხატვა, — ხმა-დაშვებით წარმოსთქვა ოდნავ გაწითლებულმა ფილიპემ.

— ძლიერ კარგი, ჩემო პატარავ; მე მხატვარი ვარ და ნახატებს ვხატავ. ვსურს ჩემი ნახატების ნახვა?

— ძალიან მინდა, ბატონო, თუ დედამ ნება მომცა... ვკითხავ დედას და ხვალვე მოვალ.

— მინდა, რომ შენი მეგობარიც თან მოიყვანო. მინდა მისი სურათი დახატო.— მხატვარმა გულ-დასმით შეხედდა აღელვებულ გოგონას, რომელიც მოუთმენლად მისჩერებოდა მხატვრის ხელში მოელვარე ფულს.

— წამოხვალ, დეა, ჩემთან?— ჰკითხა ფილიპემ.

— არ შემიძლია, — მე ესმერალდა უნდა ვავყიდო კიდევ, — უპასუხა გოგომ.

მხატვარმა ლიმილით გადახედა ბავშვებს.

— მაშ შენ კიდევ ესმერალდა გაქვს? და შენ დეა გქვია? ჰომო სადღაა? მგელია?

— ჰომო მაგიდის ქვეშაა და სძინავს; მაგრამ მგელი კი არ არის, — მგელზე მონადირე ძაღლია.

თავის სახელის გაგონებაზე ჰომოც გამოვიდა და უცნობს სუნვა დაუწყო, რომელმაც თავის მხრივ ძაღლს თავზე ხელის გადასმით მოეფერა. შემდეგ ბებერი მურა კუდის ქნევით და ნახულის მოწონებით ისევ ლილიბელთან თავის ალაგს დაუბრუნდა.

— მართლაც ყველას ეს, — ფიქრობდა ვაკვირებული მხატვარი, — უზომო ცნობისმოყვარეობის აღმძვრელია! ბავშვიც და ძაღლიც თითქოს ესეცაა ვიქტორ ჰიუგოს კალმის წვევრს მოსწყდნენო.

ამ დროს დეას ზურგს მოფარებული სელინა საგულისხმეო ნიშნებით მხატვარს ეუბნებოდა, რომ მოქანდაკეს ფრანგთა მწერლის ნაწარმოები გაგიყვებით უყვარს, და მხატვარიც ერთბაშად მიხვდა, რაში იყო საქმე საბრალო მოქანდაკე, სულიერად და ხორციელად ავადმყოფია, — ხელში ბავშვით, რომელიც მისთვის ყველაფერა — მეგობარიც, და ამხანაგიც

კოტა სიჩუმის შემდეგ მხატვარმა აღერსით სთქვა:

— ჩემო პატარავ, თუ ჩემ სახელოსნოში ივლი, ქირას მიიღებ და შემდეგში ყველა ქანდაკებას მე ვიყიდი. დიდ ხანს

არ გაგაჩერებ, და ეს უმჯობესია, ვინემ მთელი დღე ქუჩა-ქუჩა ხეტიალი.

— ჰო, ჩემო ძვირფასო, ასე მოიქეცი!— ჩაერია სელინა. ხომ მიხვდი: ბატონი მხატვარი ფულს მოგცემს და საბრალო მამისთვის ბევრი ფული გექმნება.

დემ კოტა ფიქრის შემდეგ გაუბედავად უპასუხა:

— არა მგონია, რომ ეგ მამას მოეწონოს. ვკითხავ. ახლა კი უსათუოდ სახლში უნდა გავიქეცე.

— დეა, ბატონო, ახლავე პირობას ვერ მოგცემს, — ჩაერია ფილიპე გოგონას მაგიერ ბოდიშის მოსახდელად; — მაგრამ ხვალ კი ნამდვილად მოვა. ვეცდები მოვიყვანო.

— მე აი იმ დიდ სახლში ვცხოვრობ. მეწადეს ჰკითხე ეზოში, და ის გასწავლის გზას ეინსფორტის სახელოსნოში.

ამ ლაპარაკის დროს მხატვარმა დეას ხუთ-დოლარიანი გაუწოდა.

— ოჰ, ბატონო, მე ისე მიხარია. ვეცდები მოვიდე! როდესაც მამა გაიგებს, რა კეთილი ხართ, შეიძლება გამომიშვას თქვენთან. ესმერალდა წამოვიღო თანა? თქვენ იყიდით?

— ჰო, ესმერალდასაც ვიყიდი, — ღიმილით უპასუხა მხატვარმა. — კარგი მუშტარი ვიქნები შენი თუ შემდეგ შიაცქანდაკებებს ჩემ სახელოსნოში მოიტან.

— მოვალ, ხვალ მოვალ! — გადაწყვეტილად დაიძახა დემამ. მომე, სელინა, ჩემი კალათი: ახლავე მამასთან უნდა გავიქეცე.

— ნუ ღელავ აგრე, ჩემო საუნჯევე, ნუ ღელავ, — კალათის მიწოდებით ამშვიდებდა სელინა, — და ნურც ირბენ, თორემ თავი ატკივდება და მამას სადილს ველარ გაუკეთებ.

— უნდა გავიქეცე, სელინა! — ხმა-მაღლა ამბობდა დეა.

— მშვიდობით, ბატონო! მშვიდობით, ფილიპე!— პირზე ბედნიერი ღიმილით ის მარდათ გამობტა დახლიდან და ჰომოს თანხლებით მთავრის ქუჩით მოჰკურცხლა. თითქოს ჭკვიანი ძაღლიც მიხედა პატარა პატრონის მდგომარეობას: ის ახლა იმდენად მკვირცხლი და მოძრავი იყო, რამდენადაც წინად— უსიცოცხლო და ზანტი.

— რა კეთილი საქმე ჩაიდინეთ, რომ ის პატარა ფიგურა იყიდეთ!— მადლობით უთხრა მხატვარს გაქცეულ დეას მაყურებელმა სელინამ.— საბრალო ბავშვი სიხარულისაგან ველარ დადგა. იმის მამას დღეს ჯერ არ უსაუზმია.

— და გუშინაც არ უფაზმია, — დასძინა ფილიპემ. — დეა უსიტყვოა, მაგრამ მე ყოველთვის ვიცი, როცა იმათ საქმელი არა აქვთ.

— როგორ, — ეს შესაძლებელია გინა? საქმელი არაფერი აქვთ! ნუ თუ ისე ღარიბები არიან? — გაკვირვებით წამოიძახა მხატვარმა. — არაფერ ჰყავთ, რომ მათთვის იზრუნოს?

— მათ არაფერ არა ჰყავთ, — უპასუხა ფილიპემ. — ისინი საფრანგეთიდან მოვიდნენ იმ დროს, როცა დეა ჯერ კიდევ პაწაწა იყო; დეას დედა ჩქარა გადაიცვალა, და მას შემდეგ მამაც ავად არის.

— ამ საბრალო ბავშვის საზრუნავია ახლა იმისი მამა, — ამოოხვრით სთქვა სელინამ. — გთხოვთ, ბატონო, ხშირად იყიდოთ ხოლმე ამ პატარა ობლისაგან მისი ნივთები.

— უსათუოდ, უსათუოდ! ვიფიქრებ: შეიძლება როგორმე შევძლო მათი დახმარება, — გრძნობით სთქვა მხატვარმა. — ჩემს მეგობრებსაც მოველაპარაკები. მოიყვანე ბავშვი, ფილიპე, და მოვიფიქრებ რის გაკეთდება შეიძლება. — ამ სიტყვებით ის გამოეთხოვა და ჩახუტებული ქვაზიმოდოთი თავის გზა გაუდგა.


ფილიპემ აღტაცებით საესე თვალები გააყოლა მხატვარს, სანამ ეს მალალი ტანის კაცი მახლობელ ეზოს არ მოეფარა; შემდეგ სელინასაკენ მიიხედა და დინჯად წარმოსთქვა:

— არას დროს არ ვიფიქრებდი, რომ ნახატების მხატვაი ჩვენთან ლაპარაკს იკადრებდა! ერთი ბეწოც არ შემშინებია მისი! იცი რა? უსათუოდ წავალ მასთან და ვსთხოვ ხატვა მასწავლოს.

— ის ისეთი მდიდარია! ხშირად იყიდის ქანდაკებებს, — აშკარა სიხარულით განიმეორა სელინამ.

დათაკო ანთაძე

(შპაიაი - ქვა)





ნაშროვან შეფე და მისი ოცი ვაჟი

(შემდეგი*)



ინათლემში გამოსულნი
უკან გაპყენენ უმცროს ძმასა;
გუშინ უღვთოდ თავში სცემდნენ,—
დღეს ლოცავდნენ იმის გზასა.

უსვენებლივ მიდიოდნენ,
კობტას გული უჩქაროდა;
ძმების პოენა, ტყვეთა შველა
მეტის მეტად უხაროდა.

რა სახლები დაინახეს,
გააქროლეს, მოუჩქარეს;
იქ ელოდნენ ოცნი დანი,—
გაახარეს, გაიხარეს...

*) იხილეთ „საქალაქი“-ს მე-2 ნაპირი 1917 წლისა.

ქალებს ბევრი ფიქრით, დარდით
 ბედი რომ არ გაუმტყუნდათ,
 კვლავ ვარდივით გაიშალნენ,
 სინარნარე დაუბრუნდათ...

კობტამ ძმები დაამწყრივა,
 რიგი რიგზე დააყენა;
 ყველას თავის ამხანაგი
 მოუყენა, დაამშვენა...

მერმე შესხდნენ ცხენებზედა,
 წამოვიდნენ სამშობლოში;
 ქალაქები გააჩაღეს
 ყველგან — თავში და ბოლოში.

სამეფონი შეაერთეს,
 ქორწილები გადიხადეს,
 დიდხნის ნატვრა და სურვილი
 შეისრულეს, გაიცხადეს...

მხოლოდ კობტამ თავის წილ-ხვედრს
 სთხოვა მოცდა, მოთმინება:
 სამი წლის ვადით გადასდო
 შეუღლება, ქორწინება.

შემდეგ უთხრა უფროს ძმებსა:
 — თქვენ გავალბებთ ამ აღთქმასა;
 ვითომ ერთი უდელ-მამო
 და გყოლიათ ცხრამეტ ძმასა.

სამ წელიწადს შემინახეთ
 ჩემი სული, ჩემი გული,
 ისე, როგორც თქვენი თავი, —
 დამიმტკიცეთ სიყვარული...

უნდა აღთქმა შევესრულო,
დეეს რომ მივე პირი მტკიცე;
სიტყვას ველარ გავუტეხავ,
რაკი ვთქვი და დაფიფიცე.

ათას ოთხმოც და თხუთმეტი
დღე თუ გასცდა მეთექვსმეტეს:
კოცხალი აღარ ვიქნები—
აღბად სადმე გამიმეტეს...

მკვდარი ველარ დაგბრუნდები:
გსურდეთ, გლოვა გაიმართეთ;
მაშინ ჩემი დანიშნული
გათხოვეთ, ქმარი შერთეთ.

ყველას გამოემშვიდობა—
ძმებს, ნაცნობებს, საცოლოსა,
შვილდ-ისარით შექურვილი
გასცდა თავის სამშობლოსა.

II

მიდის კობტა, კვალად მიდის,
ბევრი მთები გადიარა,
ვერ მიავნო საჩინეთსა,—
ცის ძირამდინ დაიარა.

ბოლოს ერთ მთაზედ ავიდა,
გადაჰხედა დაბლა ბარსა;
არე-მარე მოექარვა
ყვავილებსა მრავალგვარსა.

ჯაგნარი და ფერდობები,—
ალაგ-ალაგ გორიანი;
აქეთ ქედი, სალი კლდენი,
იქით—ხევი ყორიანი...

ზოგან ხშირი ტყე, მინდორი,
 ზოგან — ბუჩქი, ღელე, ქალა.
 რა არ გინდა, სულო, გულო,
 ბუნებას იქ გადაეშალა...

მთის ნაკადნი კლდეებიდან
 აქა-იქა ჩქრიანობდნენ;
 მზის სხივებში თამაშობდნენ,
 ცელქობდნენ და ცქრიანობდნენ.

საზეიმოდ შეყრილიყვნენ
 სხვა-და-სხვა ფერის ფრთოსნები:
 შაშენი, გვრიტნი, ბულბულები,
 ტოროლები და შროშნები.

ბუჩქნარიდან-ბუჩქნარებზე
 თავისუფლად ნავარდობდნენ,
 მზიარული ქრიამულით
 მგზავრების ყურს დაატკობდნენ.

კობტა გზასა განავრძობდა,
 აღიდებდა ბუნებასა;
 ათასგვარი სანახავე
 მოუღებდა გუნებასა...

თან სახლისა ჯავრი ჰქონდა,
 როგორ იყვნენ, არ იცოდა;
 არც პირობის ივიწყებდა,
 ფიქრი ასგან მიუქროდა.

ამ დროს უცებ თვალი მოჰკრა
 გზაზე სამ კაცს მოჩხუბარსა;
 ერთმანეთზე მიიწევდნენ,
 უღერებდნენ ცულის ტარსა.

ჯიჯგნიდნენ და ბლლადუნობდნენ,
 არ უთმობდნენ, არ უშეგებდნენ;
 ფრინველების ტკბილ გალობას
 ხრინწიან ხმით აყრუებდნენ.

ყმაწვილი მათ შიესალმა:
 შუა ჩადგა, გააშველა;
 ცულსა, მაგრად მოქნეულსა,
 ხელი მარდად მიაშველა.

ჰკითხა:— ჰხედავთ სავსე შინდორს:
 ცხოვრებაა აქ სამყოფი...
 რაზე ჰხოცავთ ერთმანეთსა,
 ნეტა რა გაქვთ გასაყოფი?!

უთხრეს:— ძმაო, დაგვეხმარე,
 საერთო გვაქვს სამი ნივთი;
 სამნი ვართ, ვერ გაგვიყვია,
 გაგვხდომია დიდი ტვირთი...

ერთი არის ლურჯი სუფრა,
 ერთი ქუდი, ერთი ხალი:
 მოგვარიგე, თუ ღმერთი გწამს,
 გაგვიჩინე სამართალი...

ჰკითხა კიდევ:— თქვენი ქცევა
 მიმაჩნია გასაოცად:
 განა ღირსან ეგ ნივთები
 ერთმანეთის დასახოცად?

კვლავ მიუგეს:— სუფრასა აქვს
 უცნაური რამ თვისება:
 ვინც რა საკმელს მოინატრებს,
 იმ საკმელით გაივსება;

ხალიჩა კი ამგვარია:
 ვინც გაშლის და ზედ დაჯდება,
 რომელ ჭეყანაშიც ეტყვის,
 მაშინვე იქ გაფრინდება.

ამ ქულსაცა შეტ-სახელად
 უჩინ-მაჩინს ეძახიან;
 ვისაც ჰხურავს, იღარა ჩანს,
 პატრონს ხელს ვერ შეახიან.

ჩვენ სამივეს სუფრა გვინდა,
 რადგან გვიყვარს სძა და ქამა;
 თავის დღეში არ მოგვამშვეს—
 არის მეტად კარგი რამა!..

კობტამ უთხრა:—როგორც გატყობთ,
 თქვენ ვერაფრით მორიდდებით;
 ეგ ნივთები აქ დააწყეთ,—
 თავდებად მე დაგიდგებით:

ისარს ვსტყორცნი, იმ გორაზე
 რაღაც ქვა რომ მოჩანს თეთრად;
 თქვენ სამივე ისრისაკენ
 გაიქეციით ეგრე ერთად;

ვინც დაასწრებს და იმ ისარს
 აქ მომიტანს, ჩამაბარებს,
 სუფრას იმას მივაკუთვნებ,—
 ერგება და გაიხარებს...

მოჩხუბრებსა მოეწონათ:
 დაეთანხმნენ, მწკრივად დადგნენ;
 მიზნისაკენ გასაქცევად
 სიხარულით მოემზადნენ.

ყმაწვილმა საბელს მოზიდა:
 სამნივე გაჰყენენ ისარსა.
 ვნახოთ—სიხარბე რას უზამს
 კაცის გულს შეუთვისარსა...

თავ-პირის მტვრევით გარბოდნენ:
 „განი, განიო“! ჰკიოდნენ;
 სუფრისა დასაჩემებლად
 ყირაზე გადადიოდნენ...

კობტა კი ამ დროს ლამაზად
 იჯდა იმ ხალიჩაზედა;
 წინ სუფრა ჰქონდა გაშლილი,
 ქუდიც ეხურა თავზედა;

უთხრა:—ხალიჩავ, აფრინდი,
 ამიყვანე შალა ცაში;
 წამიყვანე და ძირს დამსვი
 საჩინეთის დიდ ქალაქში!

ხალიჩა მძიმედ დაიძრა,
 ასცილდა მთების წვერებსა,
 თვალწინ გაუქრათ მსაჯული
 იმ მოჩხუბრებსა, შტერებსა.

თავში იცემდნენ, ნანობდნენ:
 ეს რა შევეცოდეთ ღმერთსაო!
 გვერჩივნა შევთანხმებოდით
 ერთგულად ერთმანეთსაო!

რა სჯობდა თანასწორობას,
 დახმარებას და შევლასა;
 მაშინ ხომ შეგვერგებოდა
 საერთო სუფრა ყველასა...



თავში იცემდნენ ნანობდნენ. ეს რა შევეცოდეთ ღმერთსაო.

კობტა მადლიდან უმზერდა
 იმ საკოდავთა ბოდვასა,
 წუხილსა, თავში ცემასა,
 კრემლების ღვრასა, გოდვასა.

გულში ფიქრობდა: ახია,
 კოდვად არ ჩამეთვლებოა:
 ისინი სკამდნენ ერთმანეთს,—
 მე კიდევ შემფრგებოა...

აგრე მოუვათ ყოველთვის
 შურიან-გაუმადღრებსა;
 რაცა აქეთ, დაეკარგებთ
 ბოროტებს, მოჩუბარებსა.

* * *

სალამო იყო. ჯერ ბინდი
 ნათელს არ შებრძოლებოდა;
 შხეს თითქო ქვეყნის დათმობა
 არ სურდა, ეძნელებოდა.

მაგრამ მოღალულს შუქ-ფენით
 სვენება ეჭირვებოდა;
 მთებს იქით ღამის ფარეში
 უცდიდა, ეგებებოდა.

კობტა ჰაერის სივრციდან
 თვალებს ავლებდა ყველგანა.
 ხელის გულივით მოჩანდა
 მაღლიდან დაბლა ქვეყანა.

გადაატარა ხალიჩამ
 ბევრი მთები და ზღვებია.
 ბოლოს გამოჩნდა შორიდან
 დიდ-დიდი შენობებია.

საჩინეთისა ქალაქის
 ქება არ ითქმის ენითა;
 ხალიჩა იქით დაეშვა
 ნელ-ნელა ჩამოფრენითა.

ერთ წყაროს პირზე გაჩერდა;
 კობტას ვერაფერს ხედავდა.
 უცნობ ალაგას ქუდისა
 მოხდას ჯერ ვერა ბედავდა.



ამბობდა:—ღმერთმა დასწყევლოს,
 ნეტა რა მომელანდო?
 ნუ თუ შაბათის ავკურით
 თვალები დამებლანდო?..

კობტამ ქუდი მოიხადა,
 ხელმეორედ სთხოვა წყალი;
 რა შეხედა დედაბერმა,
 როგორც შვილზე, შერჩა თვალი...

უთხრა:—ვაეო, წყალს კი მოგცემ,
 დალიე და წადი მალე;
 ჩვენმა მეფემ არ გაიგოს—
 გაერიდე, გაეცალე!..

მიკვირს, აქ როგორ მოსულხარ?
 საიდან შემოიპარე?
 გასწი, მე შენ გენაცვალე,
 თავს უშველე, გამახარე!..

ოთხივ-კუთხივ შეკრული აქვს,
 ამ ქალაქში კაცს არ უშვებს:
 შენისთანა კობტა ვაესა
 იგი ცოცხალს არ გაუშვებს...

კობტამ უთხრა:—ჰხედავ, დედი,
 ბინდი სქელდება, ბნელდება:
 ღამეა, როგორ გავიგნო,
 გზის პოვნა გამიძნელდება?

ამ ერთ ღამეს შემინახე,
 შემივრდომე, დამიფარე,
 ნამგზაერი ვარ, დამასვენე,
 ღეთისა მცნება მოიხმარე!..

უპასუხა: — რა ექნა, შვილო!
 კიდევ კარგი ახლა ბნელი:
 ეგებ ირვინ დაგვინახოს,
 მოთარგებით მომყე ნელა...

მიუძლოდა დედაბერი,
 დაეჭირა კობტას ხელი;
 შეიპარნენ ბნელ ოთახში—
 სტუმარი და მასპინძელი.

კობტამ ბარგი ჩამოიღო,
 ბებერმა კარი მიჰკეტა;
 იმ საცოდავს შიშისაგან
 მოსდიოდა გულის ჩხვლეტა...

სანათი რომ გააჩაღეს,
 კობტამ სუფრა გადაშალა;
 რა ბებერმა დაინახა,
 კინალამ მთლად შეიშალა:

რა არ გინდა, სულო-გულო,
 არ ელაგა სუფრაზედა!
 რამდენიმე ჭიჭა ღვინოც
 მიაყოლეს ზედი-ზედა...

კობტამ უთხრა: — დედას გიხმობ,
 შენც მე შვილი დამიძახე;
 ერთსა რამეს გვხვეწები,
 მიხათრე და შემინახე:

მიამბე, — თქვენს მეფე-ქალსა
 კაცი რისთვის ეჯავრება?
 არ დამალო ირაფერი,
 ამის ცნობა მენატრება.

უბასუხა:—ჩენი მეფე,
 როგორც დედას, პატივსა-მცემს;
 მაგრამ კაცზე ვერას ვკითხვ, —
 ვიცი—გულში დანას დამცემს...

ვერც სხვა ვინმე გაუბედავს:
 თავზე რისხვად დაატყდება...
 ერთი სარკე ხელთ უპყრია—
 სულ იმაში იყურება;

თუ ქალაქში თვალი მოჰკრა
 კაცსა, ვაჟსა ანუ ბიქსა,
 მაშინვე მოაკვლევინებს,—
 არ იკითხავს იმის ნიქსა...

კვალად უთხრა:—გევედრები,
 როგორც დედამ—თავი დადე,
 შემობრალე შენი შვილი,—
 ჰკითხე, მოდი, გამიცხადე...

იქნება შენ გამოგიტყდეს:
 საიდუმლო გაგიმბილოს,
 და ოცნების ღრმა სურვილმა
 მე თვალები ამიბილოს!

მონი დედაბერი ღვინისაგან
 აკიკიკდა თანდათანა;
 სტუმარი სახლში დასტოვა,
 თვით წავიდა შეფესთანა.

მეფე-ქალი, როგორც სხვა ღროს,
 დახვდა ბებერს ენა-ტკბილად,
 უბრძანა:—რად მალოდინებ,
 რად არა მცნობ დედა—შვილად?

— კომლი ხოლმე ხშირ-ხშირად,
 გამართე და მომალხინე;
 ამდენ ხანს რომ არა მნახე,
 ხომ არაფერი გაწყინე?

ბებერმა მოიბოდიშა:

— ჩემი თავი გენაცვალოს,
 მე შენ როგორ დაგივიწყებ,
 მუდამ გნახავ, რომ მეცალოს...

ხან სარეცხი მიგროვდება,
 ხან პური მაქვს დასარკვევი;
 რა ვქნა, შეილო, შრომა მიყვარს,
 მუქთად ქამას არ ვეჭვებ...

სიჩუმე რომ ჩამოვარდა,
 კვლავ ბებერმა დაარღვია:
 — ერთი რამე მინდა გკითხო,
 მერიდება თუმცა კია:

კაცი რისთვის გეჯავრება,
 შემეყაროს შენი კირი?
 ვისაც ნახავ, აღარ ინდობ,—
 ძნელია და ვასაკვირი?...

მეფე-ქალი აცახცახდა,
 უცებ ცეცხლად გადაიქცა;
 მისთვის თითქო ამ სიტყვებით
 მზე მოსწყდა და ცა დაიქცა:

— ეგ რა მკითხე, ბებრუკუნავ,
 სიმშვიდე რად დამირღვიე?!
 თვალით აღარ დამენახო,
 გამერიდე, გაეთრიე!...

კოქროს ქოშს ხელი დასტაცა,
დასარტყმელად მოუღერა;
მაგრამ აღარ გაიმეტა—
ჰაერშივე შეაჩერა.

შიშით გამქრალმა ბებერმა
გამორიდა, გამოძურწა.
იმ საბრალოს ცრემლის ღვარმა
კიბე სრულად ჩამოწუწა...

მოდოდა გულ-ხეთქებით;
სტუმარი მას სახლში დახვდა,—
უთხრა:—შვილო, რა მიყავი?
ჩემი საქმე ყველა წახდა!..

რად მაკლინე უგუნური,
რად გამხადე მისი ურჩი?
ესლა მიკვირს მე საცოდავს,—
სოცხალი რომ გადაფურჩი!

კოხტა მინამ მას მისცემდა
ნუგეშს რასმე შესაფერსა,
მეთის მონა კარს მოადგა,
კითხულობდა დედაბერსა:

—ჩქარა წამო, გიბრძანებსო,
გელოდება უმკველად;
არ დახანდე, გაბრაზდება,
გაგზიდება სანანელად...

ზარ-ნაცემმა დედაბერმა
შემოიკრა ხელი თავში,
კოხტას უთხრა:—მოფეარე,
გადაძვერი განჯინაში:

—მე მიბარებს სასიკვდილოდ,
რომ არ წაფევე — არ იქნება,
შენ ხვალ სადმე გაიპარე;
ჩემი დღენი დაითვლება...

ან დამამწყვდევს, ან თავს მომჭრის,
ან ჩამაგდებს ცეცხლის ალში...
დამიხსენით, ღვთისნიერო,
გადამაგდეთ სადმე წყალში...

მილიოდა ღვთის ვედრებით,
კანკალითა, წუბილითა;
გულში ფიქრი სიკვდილისა
ღრღნიდა ქექა-ქუხილითა.

კობტამ ქუდი დაიხურა,
ბებერს გაჰყვა უკან დინჯად,
საიდუმლოს გასაგებად,
მეფე-ქალის გასაშინჯად.

დედაბერმაც არ იცოდა,
თუ მისდევდა ვინმე გვერდზე:
შიშისა და შიმშილისგან
მას მიჰკროდა ფერდი-ფერდზე,

მეფე-ქალი აივანზე
იჯდა, ოღნავ შუბლ-შეკრული;
მაგრამ გულში ემჩნეოდა
თვის სიანჩხლის სინანული.

უთხრა:—დედაე, მოდი. დაჯექ,
გავრისხდი და გაგიმწარდი;
გულმა კითხვა ვერ მიიღო,
მომაგონა ძველი დარდი...

ჯერ არ თქმული ჩემის პირით,
 მსურს გვიამბო ეხლა შენა,
 და ამითი მინდა გიზლო
 წელანდელი შენი წყენა...

თუ დაჰფარავ საიდუმლოს,
 არ დაგძლია სადმე გულმა;
 შენს სინდისზე მიმინდვია—
 შენ იცი და შენმა სულმა...



შენ სინდისზე მიმინდვია— შენ იცი და შენმა სულმა.

სულ პირველად ბუნებამ მე
 ფურ-ირემად გამაჩინა;
 სხვა ირმებთან საცხოვრებლად
 უღრან ტყეში მომცა ბინა.

ამხანაგად და მეგობრად
 მყავდა ერთი ხარ-ირემი;
 სულით-გულით მისი ვიყავ, —
 სულით-გულით იყო ჩემი...

ბედნიერნი, კმაყოფილნი
 შეეხაროდით მზისა სხივებს,
 მობიბინე ხასხას მდელოს,
 დილის ცვრებით დანამძივებს.

ჩვენთვის იყო ამოსული
 ცისკარი და მზე შუქ-მფენი;
 ერთმანეთით გეხაროდა
 სიკოცხლე და ღღენი ჩვენი.

თავისუფლად ვნავარდობდით
 ყვავილოვან მინდვრებზედა,
 ხან აღმა და ხან ჩამოღმა,
 ხან მდინარის პირებზედა.

წყაროს წყალსა ერთად ვსვამდით,
 ერთად ვძოვდით მწვეანე ბალახს;
 ვფრთხილობდით და გავურბოდით
 კაცთა ფეხით ნახელ ტალახს...

იმ დაბურულ ტყეში ერთხელ
 დიდი ქარი ამოვარდა.
 ტკბილი ყოფნა და ცხოვრება
 ჩვენ იმ დღიდან გაგვიმწარდა:

საშინელი ქარაშოტი
 ღმუროდა და გრიალებდა;
 უხარმაზარ ხეთა შტოებს
 აქეთ-იქით ახეთქებდა.

ზუზუნი და ღრიანცელი
ერთმანეთში ირეოდა,
თითქო ცა და დედამიწა
ირღვეოდა, ინგრეოდა.

დილამდისინ გაატანა
ქარისა და ტყისა ბრძოლამ.
მე და ჩემი მეგობარი
ავგიტანა ძრწოლა-თრთოლამ.

გამოვცვივდით, დავინახეთ:
ორნი კაცნი ნადირობდნენ;
თურმე ჩვენკენ მოდიოდნენ
და დაჰერას გვიპირობდნენ.

გავეჭეცით, გამოგვიდგნენ,
უცებ ავსხლტით ერთმანეთსა.
ჩვენი ცოდვით, რა პახუხით
შეხვდებიან მამა-ღმერთსა?!

მე ერთ ქელსა წავადეკი,
დაბლა ჩანდა დიდი ხევი.
უკან მტერნი მომყვებოდნენ, —
გზა არ მქონდა ასაქცევი.

მაშინ უფალს შევევედრე
სულ-წმინდად და გულ-ალაღად;
ღმერთო, ჩემი სიმართლითა
გარდამქენი ახლა ქალად!

უცებ მართლა ქალად ვიქეც;
მტერნი ამცდნენ, მოვეფარე.
ვძებნე, მაგრამ ველარ ვპოვე
ჩემი მზე და ჩემი მთვარე.

უფლება რომ მომენიჭა
 და ჩავიგდე მეფის ბჭენი,—
 სათნოება მომეწამლა,
 უკადრისი შევიტენი...

პირველად მონადირენი
 ქალაქიდან გავაძევე;
 წინაღმდეგნი დავიჭირე,
 დავამწყვდიე, დავატყვევე.

ქალები სულ ავაშხედრე,
 კაცები სულ გადავკარგე;
 ყველას გული მოვისყიდე,
 ორგულნიც კი გავაკარგე.

კაცის სისხლით ვერა ვძღვები;
 მუდამ შფოთავს ჩემი გული.
 მოსვენება დამეკარგა,
 გაქრა ძველი სიხარული.

ალარავინ მებრალება,
 ალარვისი მეხატრება:
 წინანდელი ირმად ყოფნა
 მესურვება, მენატრება.

მაგრამ რაკი ერთხელ გული
 ცოდვის ქსელით დამებაწრა,
 ღმერთმა აღარ შეისმინა
 ჩემი თხოვნა, ჩემი ნატვრა...

აჰა, თითქმის ყველა გითხარ;
 შენც ხომ კარგად მოისმინე.
 როგორც გატყობ, დაიღალე:
 წადი, ახლა დაიძინე...

გატრუნული დედაბერი
 ყურს უგდებდა თითქმის ძალად,
 მოწიწებით წამოვიდა
 მოკაკული, ენა-მშრალად.

კობტა კართან მიეგება,
 ჰკითხა:—როგორ მოიარე?
 შუბლი გახსენ, გაიღიმე,
 ნუ ხარ აგრე მგლოვიარე...

უთხრა:—შვილო, დედოფალმა
 სულ მიაშპო ყველაფერი;
 მაგრამ შენ კი ვერას გეტყვი,—
 სიტყვა მივე შესაფერი...

კაცი კაცის მოღალატე
 ღვთის პირითა იძრაებდა,
 და ამიტომ საიდუმლო
 ჩემში ბტკიცედ ინახება...

კობტამ უთხრა:—ნუ სწუხდები:
 გავიგონე ყველა კარგად...
 ახლა ჩემი წასვლის დროა,
 რომ არ გაწვე გულზე ბარგად.

ერთხელ კიდევ მოგიკითხავ,
 მოვალ შენთან გულახდილად;
 დღევანდელ შიშს სულ გაგიქრობ,
 სიტყვას გაძლევ მე ნამდვილად.

ხელზე ტკბილად ეამბორა;
 გავიდა და მიეფარა.
 ბებერმა ამოისუნთქა:
 ეწყინა და გაიხარა...

გიგო თემქისხველი

(დასასრულ- პეტიტ ნაშრომად)

ხე, რომელიც თვალსაჩინოდ

იზრდება



ბანანი.

გინახავთ როდისმე, როგორ იზრდება, ხე ან რომელიმე სხვა მცენარე? მაგრამ თვალთმაქცური მცენარე კი არა, რომელსაც ოინბაზი ამიყვანს ხოლმე ქოთნიდან, არა, ნამდვილი მცენარე, მწვანე — ფოთლებიანი, მაგარ ღეროიანი და დედა-მიწაში ფესვებ-გადგმული?

ზღაპარი გგონიათ განა? ვესტ-ინდოეთში*) რომ წახვიდეთ, იმისთანა ხეს ნახავთ, რომელიც მართლა ადამიანის თვალ წინ იზრდება.

ამ ხის სახელი ბევრს ჩვენგანს გაუგონია. მისი ნაყოფი ზოგჯერ მეხილეს დუქანში შეგიძლიათ ნახოთ. ეს საუცხოო ტროპიკული ბანანია.

ბანანი ბევრნიარად არის საინტერესო, მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესოა, რომ ეს ხე ისე სწრაფად იზრდება, რომ ზღაპარი გეგონებათ. ერთი წლის დარგული ბანანი უშველებელ ხედ იქცევა, ფართე ფოთლები, დიდი გვირგვინითა და მრავალ გემრიელ ნაყოფით.

განსაკუთრებ არჩეულ ნიადაგზე დარგულ ბანანის ზრდა კიდევ უფრო საოცარია.

*) კუნძულები ამერიკის აზლოს.

მალალ საღ ბანანის ღერო რომ გადასკრათ ძირიდან რამდენიმე ფუტის სიმაღლეზე, გადაკრილ ადგილიდან ისევე ამოვა ახალი ყლორტი, რათა დანაკარგი საჩქაროდ აინახლაუროს. გადაკრილ ღეროს თავზე ამაყად გადაიშლება მწვანე ფოთლების გვირგვინი.

აი, სწორედ მაშინ, როცა გადაკრილი ღერო ყლორტს ამოუშვებს, შეიძლება დაინახოთ, როგორ სწრაფად იზრდება ბანანი.

ბანანი გადასკრეს დილის ათ საათზე. სწორედ ოცი წამის შემდეგ გადაკრილი ღეროს შუაგული ამოიწია და თითქმის ერთი დღეის სიმაღლეზე გაიზარდა.

ამ დროს წამოვიდა ტროპიკული კოკისპირული წვიმა და რამდენიმე საათის განმავლობაში იძულებული შევიქნენი სახლში შევსულიყავი. საღამოს ხუთ საათზე ისევე ვნახე მცენარე. და—ოჰ, საკვირველავ!—გადანაკერის შუაგულიდან ამაყად ამართულიყო რამდენიმე ფუტის სიმაღლე მწვანე ყლორტი.

მეორე დღეს, საღამო ხანს ამ ნორჩ ყლორტს ოთხი სრულიად დასრულებული ფოთოლი ამშვენებდა. ბანანი თითქო დაგვიცინოდა, რომ მისი ზრდის შეჩერება განვიზრახეთ.

ამაირად ოც-და-თერთმეტ საათში ბანანს სრულიად მოურჩა კრილობა, რომელიც ბევრ მცენარეს სიცოცხლეს გამოასალმებდა, და კარგად წამოიზარდა. ერთი თვის შემდეგ ხე ისეთივე დიდი გაიზარდა, როგორც ოპერაციამდე იყო. ძალიან გვინდოდა გადანაკერი ადგილისათვის მიგვეგნო, მაგრამ ამაოდ ვეძებეთ.

თქვენ უთუოდ გიკვირთ, რანაირად გამოუშვებს ხოლმე ბანანი ფოთლებიან ყლორტს თავის ღეროს შუაგულიდან? ეს ადვილი ასახსნელია. საქმე იმაშია, რომ ბანანის ღერო მაგარი და ხის მაგარი კი არ არის, არამედ რბილია, წვნიანი;

მრავილი ჯერ კიდევ დაუსრულებელი ნორჩი ფოთლებისაგან შესდგება; ეს ფოთლები გრაგნილად არიან ერთმანეთზე შემოხვეულნი. ხე რომ იზრდება, ეს დახვეული ფოთლები გარედ გამოდიან და იშლებიან. ამნაირად ბანანისათვის საჭირო არ არის, სხვა ხეებსავე, კვირტებისა და ფოთლების ჩასახვა-განვითარებისათვის დრო დაკარგოს. იმას ყოველთვის აქვს თითქმის მზა-მზარეული ფოთლები.

ამნაირად ბანანს საოცარი სისწრაფით ურჩება კრილობა გადანაპირიდან ამოსული ახალი ღერო ნაყოფს აღარ მოიხხამს. სამაგიეროდ ეს გადაქრილი ბანანები ყოველთვის უფრო მაგარი არიან და უფრო იზრდებიან, ვიდრე გადაუჭრელები. როგორც მაგარი ხეები, ესენი უკეთესად ეწინააღმდეგებიან ქარსა და ქარიშხალს; ამიტომ იმათგან ღობეებს აკეთებენ სხვა მცენარეების დასაცველად. ამ ბანანებს თავს გადასჭრიან ხოლმე, რომ მაგარი, უნაყოფო ხეები გაზარდონ.

ევროპელები მხოლოდ ბანანის ნაყოფს იცნობენ, მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც ბანანი ხარობს, ადამიანები სხვა და სხვა ნაირად სარგებლობენ ამ მცენარეთი: აკრიან ფართე ფოთლებს, სანამ ჯერ კიდევ ქარს არ დაუფლეთია, და ქოლგების მაგიერ ხმარობენ. საუცხოო საყურებელია, როცა გზაზე მწყრივად მიდიან ინდოელები და თვითველ მათგანს ბანანის დიდი მწვანე ფოთოლი მიაქვს თავზე გადაფარებულნი.

გამხმარი ფოთლებით სახლებს ხურავენ, უნაგირის ბალიშებს ავსებენ, ცხენებისა და სხვა შინაურ პირუტყვებს უგებენ ქვეშ, ხილისა და ადვილ გასატებ ნივთების გასახვევად ხმარობენ და სხვა. ხორციანი ღეროები ჩინებული სასუქია ბაღებისა, ბოსტნებისა და სახნავ ადგილებისათვის. ღეროების ძარღვებისაგან გრებენ თოკებს და ბაგირებს. განთქმული „მანილის ხელი“ ერთგვარი ბანანის ძარღვებია.



ნაყოფს სქამენ, როცა ის მწიფეა. როცა მწიანეა—სწვავენ ან ხარშვენ. გარდა ამისა ნაყოფს ახმობენ, ფქვავენ და ჩინებულ ფქვილს აკეთებენ. გაფუფების დროს ბანანი მშვენიერ ძმარს იძლევა. ბანანის ნაყოფიდან ხლიან მაგარ სასმელებს.

ევროპელები მხოლოდ ორგვარი ბანანის ნაყოფს იცნობენ: ყვითელს და ვარდისფერს. ბანანის სამშობლოში ამ ორ ჯიშს ყველაზე ნაკლებ აფასებენ. სისწორით არავენ იცის, თუ რამდენი ჯიშია ბანანისა დედამიწაზე. მარტო ვესტ-ინდოეთში სამასამდე ჯიში ითვლება.

საქმელად საუკეთესოდ ითვლება „ფიგოსის ბანანები“, რომელთაც აგრედვე „მანდილოსნის თითებს“ უწოდებენ. ისინი ოთხ დიუიმზე მეტი არ არიან სიგრძით, აქვთ ქალაღივით თხელი კანი და მეტად ტკბილი, ნაზი და სურნელოვანი გული. არის ნარინჯის ფერი ბანანი, მწვანე, ყომრალი და წითელ-წინწკლებიანი, შავ ზოლებიანი ან წინწკლებიანი. ზოგ ბანანს ხაოიანი, ულამაზო კანი აქვს. ყვითელი და ვარდისფერი ბანანები მრავალნაირი არიან და ერთმანეთისგან მოყვანილობითა და სიდიდით განირჩევიან.

ინდოელებს საქმელად ვარდისფერი ბანანი რომ მიართვეთ, გაეცინებათ. ისინი უგემურად და ყველაზე ნაკლებად სთვლიან ამ ჯიშის ბანანებს. მწვანილის მაგივრად ხმარობენ, სანამ მკვახეა ან ლორებსა და შინაურ საქონელს აქმევენ. ყველა სხვა ჯიშის ბანანებს ერთი წლის განმავლობაში უმწიფდება ნაყოფი, ვარდისფერ ბანანებს კი ორი წელიწადი სჭირდებათ. ამიტომაც, რომ ვარდისფერი ბანანი უფრო ძვირად ფასობს, ვიდრე ყვითელი.

დიდიხანია, რაც ბანანის მოშენებას მიჰყვებს ხელი, და ამიტომ ახლა ყველა ტროპიკულ ქვეყნებში შეხვდებით იმას. თესლით გამრავლების ნიჭი ბანანმა, ბევრ სხვა ხეხილსავეთ, თითქმის სრულად დაჰკარგა.

ბანანის ნაყოფი რომ გასტეხოთ, შიგ პაწია მის თესლს ნახავთ, მაგრამ ის რომ მიწაში დათესოთ, არაფერი არ ამოვა. ამიტომ ძირებზე ამოყრილ ნორჩ ყლორტებით ავრცელებენ ამ მცენარეს

ყლორტს მოსკრიან ბანანს რგავენ სასურველ ადგილას და რამდენიმე თვის შემდეგ იგი დიდ ხედ გადაიქცევა ხოლმე, რომელსაც 10 ან 12 ფუტი სიმაღლე აქვს, და ექვსი ან მეტი დიუიმი სისქე.

ფოთლებ შორის მალე ჩნდება დიდი, კონუსის მზგავსი ყვავილის ალისფერი კვირტი. იგი თანდათან იშლება, კვირტი უფრო და უფრო უგრძელდება და ფურცლები უკან ეფინება. ბოლოს ყვავილს ფურცლები სცივდება და რჩება ნაყოფის ნასახი.

დარგვის შემდეგ 9—12 თვე რომ გაივლის, ზრდას დაასრულებს და ჩამოკიდებული აქვს მწიფე ნაყოფის უშველებელი მტევნები. ამ ნაყოფს არ კრეფენ, არამედ თვითონ ხეს სკრიან, რადგან ბანანი მხოლოდ ერთხელ გამოიღებს ხოლმე ნაყოფს მთელ თავის სიცოცხლეში.

მოკრილი ხის ძირი ახალ, ნორჩ ყლორტებს ამოიყრის ხოლმე. თვითეული მათგანი დიდ ხედ გადაიქცევა, ნაყოფს გამოიღებს, კვდება და ისევ ახალ ამონაყარს სტოვებს, რომ მისგან ახალი ხეები გაჩნდენ, ნაყოფი გამოიღონ და შთამომავლობა დასტოვონ, და ასე დაუსრულებლიად, სანამ ნიადაგი არ გამოიფიტება.

ასეთ პირობებში ბანანები ნამდვილ ჯუნგლებად, ხშირ ტყედ, გადაიქცეოდნენ სულ მოკლე ხანში, და ერთმანეთს მოაშთობდნენ. მაგრამ პლანტატორები თვითთავად ჯგუფში მხოლოდ ოთხ-ხუთს ნაყარს სტოვებენ და დანარჩენს ყველას სკრიან.



პლანტაციის ასეთი „ვათხელების“ დროს ცდილობენ, რომ დატოვებული ნაყარი სხვა-და-სხვა სიმაღლისა და ზნის იყოს. ასე რომ, როცა ერთი ხე ყვავილს მოიხსამს, მეორეს ნაყოფი უნდა უმწიფდებოდეს, მესამე შუა ზრდაში უნდა იყოს...

ამნაირად პლანტატორებს თითქმის ყოველ თავე აქვთ რთველი, — მწიფე ბანანის კრეფა, თუმცა თვითვეული ხე წელიწადში მხოლოდ ერთხელ იძლევა ნაყოფს, ისიც მთელ თავის სიციცხლეში.

ბანანი დიდად სასარგებლო მცენარეა, ყველა ხეხილებთან შედარებით. იგი მალე იზრდება, წლის განმავლობაში 10—12 მოსავალს იძლევა, გარდა ამისა, სწეულებაც არ ერევა. ვერავეითარი მწერი იმას ვერ ავნებს. მხოლოდ ერთი კალია ეტანება, მაგრამ ისიც დიდად ვერ აზარალებს; ბალახბულახიც არაფერს უშლის ბანანს. პარაზიტული, ზედ შემოხვეული მუქთა-ხორა მცენარეებიც არად შიანია: იგი შლის თავის განიერ ფოთლებს და ისხამს ოქროსფერ ნაყოფის მტევნებს.

ვერ წარმოიდგენთ, რამდენი ბანანი გააქვთ წლის განმავლობაში სხვა-და-სხვა ქვეყნებში. შეძლება რომ გვექონდეს ვნახოთ ახალი ორლენის, ბოსტონის, ფილადელფიის, ან ნიუ-იორკის ნავთსადგურები, დავინახავდით რამდენი ბანანით დატვირთული ხომალდი იცლება იქ შეერთებულ შტატებისათვის: გაგვაოცებდა მათი სიმრავლე.

უმეტეს ნაწილად ბანანი ამერიკიდან და კუნძულ იამაიკიდან გააქვთ. მაგრამ სამხრეთ-ამერიკიდან, მექსიკიდან, კუნძულ კუბიდან, სან-დომინგოდან და სხვა კუნძულებიდანაც დიდძალი ბანანი გააქვთ. ბანანის მრეწველობას ზღვაზე სა-

ვაკრო გემთა მთელი ესკადრები, მდინარეთა უმრავი გემები, მრავალი ქალაქი და სოფელი ემსახურება.

ცხელ ქვეყნებში იმდენი ბანანი მოჰყავთ, რომ იგი ბევრ იქაურ მკვიდრთათვის უმთავრეს საკმელს შეადგენს. იმ ქვეყნებში, სადაც ბანანი ხარობს, თქვენ ვერ ნახავთ ისეთ კაცს, რომელიც დღეში ერთხელ მაინც არ სჭამდეს ბანანს.

კარ. ძიძუაშვილა



ბანანის ტყე



ნაწევრები ჩემი დღიურიდან

ყაზარმაში რიგზე დამწკრივებულ ახლად მოსულ სალდათებს ასწავლიდა რუსის სალდათი.

— დროშა არის პოლკის წმინდათა წმინდა, რომელიც ყველა სალდათებმა უნდა დაიცვან უკანასკნელ სისხლის წვეთამდე. აბა შენ, ფხაქანაშვილო, მითხარი რა არის დროშა?

წამოდგა ფხაქანაშვილი და მიაშტერდა გაოცებით სალდათს.

— რას დაგიღია პირი! თქვი—მეთქი.

კვლავ სდუმდა ფხაქანაშვილი.

— თქვი-მეთქი!—დასტყვივლა რუსმა და თან მუჯღუგუნნი წაჰკრა გვერდში.

— რათა მცემ, შე ოჯახ-ამოსაწყვეტო, რუსული ამ ორიოდ დღეში უნდა დამასწავლო?

ამ დროს შემოვიდა აფიცერი.

— ჰა, თქვი—მეთქი! შეუტია კიდევ.

— აბა შენა თქვი, შე მუხის თავო: ურემი, ტაბიკი, კონკილა, უღელი, ღერძი, დანდალი, ქალი, კამეჩი, ხარი, ჯანაბას შენი თავი.

— რას ამბობს?—იკითხა აფიცერმა.

გადაუთარგმნეს რუსულად. აფიცერმა დაიფრუტუნა და სიცილით გატრიალდა.

ნიკ. დარაშვილი

შარადა

(წარმოდგენილია დ. ქუამთაძის მიერ)

ვინც საყდარში სანთელს ჰყიდის,
 თავს მარცვალი მოაქელით;
 მონახადი კარაქისა
 სქამეთ კოვზით, არა ხელით;
 მცირე რიცხვსა,
 კულ-ქვეცილსა,
 თავში უცხო აახელით.
 მიუმატეთ სახელმწიფო!
 (ევროპისა ნახეთ რუკა)
 მას მივიღებთ, ვინც წარსული
 მომავლისთვის გააშუქა.

გ ა მ ო ტ ა ნ ე ბ ი

(წარმოდგენილია თეო კანდელაკის მიერ)

კაცი ხან ფანტავს, ხან ისევ ჰკრეფავს;
 თვით გამაძლარი, ქვეყანას ჰკვებავს.

ცეცხლის ალი ეღება, სანთელივით დაღება;
 მერე სხვის საიდუმლოს საღარაჯოთ უღდება.

წერილი არის, გრძელია, ცალ-ყურა და მკრელია,
 მთელ ქვეყანას სკირდება, უმისობა ძნელია.

უენო და მუნჯია, ხმას არ იღებს მის ღღეში;
 სუყველას კი გვასწავლის, გვიძევს სტოლზე, ჯიბეში.

კვიცხი

(წარმოდგენილია დ. ულაიზაშვილის მიერ)



კვიცი
როგორ
ჩხვიც?



მაწვნის გადღვების
შეძღვრ რა რჩება?



ა
გ

ქალის
სახელი

”
ს



ვაჟის
სახელი

ტ.

მე-12 №-ში მოთავსებულ გამოცანების და რეზუსის ახსნა.

1, ცისკარი, 2, ღამურა დღისით არ ფრინავს სინათ-
ლს შექინდომ.

დასურათებ ული საყმაწვილო ჟურნალი

თბილისში
ბიზნეს-მისიონარი

წელიწადი
მეტამეტე.

„ნაკადული“

წელიწადი
მეტამეტე.

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

შურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადულისა“ 12 წიგნი „ნაკადულისა“
მცირე წლოვანთათვის. მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის პირველ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან.—იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მან. გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი—3 მან.** გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3 მან.** გაგზავნით—3 მან. 50 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს, თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ. ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხალის მოწარა მიიღება

თბილისში - „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი, გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მალაზიაში, სასახლის ქუჩა; ქუთაისში—ისიდორე კვიციანიძესთან, მ. ყაზხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. ფოთში—ლუდმილე მგერელიძესთან. ბათუმში—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, ტ. სამსონ ყაზხჩიშვილთან—ქალაქის გამგეობაში. თელავში—ვანო პაატაშვილთან. ახალციხეში—კონსტანტინე გვარამაძესთან. ბაქოში—მეთოდე კაკაბაძესთან. გორში—ქეთევან ჯავახიშვილთან ტინიო ლომოვურთან. ვითაურაში—ივ. გომელაურთან. ხონში—მ. ი. კვკვიანიძესთან. მიხაილოვოში—გიორგი ნაკაშიძესთან. ოზურგეთში—სალომე ხუნდაძესთან, ლანჩხუთში მასწავლებელ ჯუღელთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი მ. პავლე იოსების-ძე თფმანიშვილი.